ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 2023 №246 (9282) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არის 35 წლის ქართველი კაცი, რომელსაც ინტერპოლი დის მკვლელობისთვის ეძებს



გვ.3


გვ.4

„საშუალო ფენა განსაკუთრებით იზრდება“

# „მამუკა ხაზარაძე, 31%-იანი ბანკირი, რანაირად არის საქართველოს მომავალი?!“


გვ.2

თამარ ჩარკვიანი: „მელია, ხაზარაძე და დეკანოიძე ერთიანდებიან“




გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „2007 წლის 7 ნოემბერს მე სააკაშვილს ვებრძოდი, კალაძე კი გუნდრუკს უკმევდა და სისხლიანი ბანერები მე უნდა გამომეფინონ?!“

# „ივანიშვილი არსად აპირებს წასვლას. ის ხელისუფლებას არ დათმობს“

რა მდგომარეობაა გადამწყვეტ არჩევნებამდე?


გვ.4


გვ.3

ნუგზარ წიკლაური: „ვტოვებ ენმ-ს“

„გიორგი ვაშაძე: „პრეზიდენტმა თანამდებობა არ უნდა გაუთავისუფლოს ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“


გვ.3


გვ.3

მამუკა მდინარაძე: „სტატუსთან დაკავშირებით მოლოდინი არის მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური“

*ისტორიები*

როგორ იწყებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის შექმნა


გვ.5

ბათუმში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა


გვ.3


გვ.7

კვარაცხელია და ხოჭოლავა ფლეი ოფში გავიდნენ

1993230720223

2 რომან გოცირიძე ფინანსთა მინისტრს — ეს არის ფლანგვის ბიუჯეტი

4 დღგ-ს ყალბი აქტივის შექმნა-გამოყენების ფაქტი — მხილებულია 4 პირი

5 გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

6 ახალგაზრდა მამაკაცმა, მამისგან გამოსასყიდის მიღების მიზნით, საკუთარი გატაცება გაითამაშა

# „მამუკა ხაზარაძე, 31%-იანი ბანკირი. რანაირად არის საქართველოს მომავალი?!“

## თამარ ჩარკვიანი: „მელია, ხაზარაძე და დეკანოიძე ერთიანდებიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თამარ ჩარკვიანი პასუხობს.



*– ქალბატონი თაკო, დღეს ჩვენი საზოგადოების ყურადღება ევროკავშირისკენაა მიმართული. რეკომენდაცია დადებითი იყო, მაგრამ ორბანის პოზიციის გამო, გაჩნდა შიში, რომ შესაძლოა რამე შეიცვალოს. რაიმე საფრთხე ხომ არ არის ამ კუთხით და მივიღებთ თუ არა სტატუსს?*

– თავისთავად, ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ უკრაინასთან ერთად შესაძლოა მოვყვეთ, ვგულისხმობ ორბანის პოზიციას. მიუხედავად ყველაფრისა, მე ვრჩები გამოუსწორებელ ოპტიმისტად. ევროკავშირი ძალიან უფრთხილდება და დიდ პატივს სცემს საქართველოს მოსახლეობის არჩევანს. მე მაინც მგონია, რომ ამ ნანინანატრ სტატუსს მივიღებთ. ამ სიტუაციაში ასეთი განცხადებები და ასეთი პოზიცია ორბანის მხრიდან რუსული თამაშია.

*– ქალბატონო თაკო, როგორია პრეზიდენტის როლი ამ ყველაფერში?*

– ჩვენ მივილეთ მიწვევა და დავესწარით მიღებას პრეზიდენტის სასახლეში. თავისთავად ძალიან კარგია პრეზიდენტის ასეთი აქტიურობა. თუმცა, ვერ ვიტყვი იმას, რომ ამ პროცესში მისი როლი იყო გადამწყვეტი. გადამწყვეტი როლი არის ქართველი ხალხის. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც პრეზიდენტი ჩადის ევროპაში, ასე დადებითად ლაპარაკობს და მხარს უჭერს ქვეყნის ევროინტეგრაციას. ის აჟღერებს ქართველი ხალხის სურვილს და ეს არის ძალიან კარგი.

*– არჩევნებამდე დიდი დრო აღარ რჩება. ხელისუფლებას უკვე გაჩაღებული აქვს წინასაარჩევნო კამპანია, დაიქირავა კონსულტანტები. ძალიან დიდი რესურსია მობილიზებული ხელისუფლების ხელში და ამ ფონზე ხომ არ იჩაგრება ოპოზიცია? ისედაც დაშლილი და ერთმანეთთან დაპირისპირებული. როგორია თქვენი მოლოდინი? რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ სიტუაციის შესაცვლელად?*

– ოპოზიციამ უნდა იბრძოლოს გულწრფელად. დასავლური ოპოზიციის დაშლაზე კი არ უნდა ეფიქრათ ზოგ-ზოგიერთებს, ნიკარონ მელიას ვგულისხმობ, არამედ მოძლიერებაზე. ოპოზიციამ უნდა იბრძოლოს ნამდვილი ბრძოლით.

**„იმ ავადსახსენებელი ციხის კადრების დროს მთავარი პროკურორი იყო მურთაზ ზოდელავა, პოლიციის აკადემიის უფროსი იყო ხატია დეკანოიძე! ნიკარონ მელიამ ხელი ჩაკიდა მურთაზ ზოდელავას, ხატია დეკანოიძეს და წავიდა მომავალში?!**

*– რას გულისხმობთ?*

– გეტყვით, რასაც ვგულისხმობ ნამდვილ ბრძოლაში. მე კი არ ვერჩი ვინმეს, მე ვებრძვი ფეიკბრძოლას, ცრუ ბრძოლას. როდესაც შენ იბრძვი პირუთვნელად და გაერთიანებაზე საუბრობ, მაგალითად, მამუკა ხაზარაძე ავიღოთ. გაიხსენეთ ჯერ კიდევ როდის გითხარით მე თქვენ, ახლაც წინ მიდევს თქვენი გაზეთი, ეს იყო 2022 წლის ნოემბერში. ერთი წლის წინ განვაცხადე თქვენთან ინტერვიუში, რომ ნიკარონ მელია უერთდება მამუკა ხაზარაძეს! მე პირობა მაქვს მიცემული საკუთარი თავისთვის, რომ გადაუმოწმებელი ინფორმაცია არასდროს გამოვიტანო საჯაროდ. ეს გამორიცხულია. ამას არ გავაკეთებ. როდესაც ეს განაცხადა, გამოვარდა ხატია დეკანოიძე, ცრუ ინფორმაციას ავრცელებს თამარ ჩარკვიანიო. ახლა გამოვიდეს და ბრძანოს, ცრუ ინფორმაციას მე ვავრცელებდი, თუ ხატია დეკანოიძე ატყუებდა ხალხს! ხატია დეკანოიძეც უერთდება ნიკა მელიას და მოლაპარაკებას აწარმოებენ ხაზარაძესთან. მესიმპათიურება თუ არ მესიმპათიურება მამუკა ხაზარაძე, ეს ცალკე თემაა. ხაზარაძეს თავისი საკუთარი ცოდვები ეყოფა.



*– რა ცოდვებზე საუბრობთ?*

– ვგულისხმობ 31%-იან მევახშეობას. თუმცა, ამ სიტუაციაში ინიციატივა იყო მელიასი. მე ვამბობდი, რომ მელიას მხრიდან ასე ვაჭრობა საკუთარი პარტიით, ეს არის უსინდისობამეთქი. ხოლო ხაზარაძის მხრიდან ეს არის ბიზნესი. რატომაც არა, შენ თუ ყიდი, ის იყიდის.

*– ანუ ერთიანდებიან მელია, ხაზარაძე, დეკანოიძე და გოცირიძე?*

– რა თქმა უნდა! და ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მიდიოდა.

*– მაშინ რატომ გააჭიანურა მელიამ წამოსვლა ერთი წლით?*

– რაც უნდოდა, ის არ გამოუვიდა. ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ამის გამო. მას ეგონა, რომ აი, ასე კარაქივით, გამსვლელ სიაში, დაბალპროცენტიანი ხაზარაძე, მიიღებდა ნაცმოძრაობიდან გამსვლელ ადგილებს. პრაქტიკულად გაიყიდებოდა ადგილები.

*– ანუ მელია ყიდდა საარჩევნო სიას?*

– ამას ჰქვია გაყიდვა, აბა, რა ჰქვია?! მელიას ეგონა, რომ ვერ ააყირავებდნენ, მოიგებდა, როგორც თავის დროზე, ივაჭრებდა ისე, როგორც ადრე ივაჭრა. მე მათი შიდა სამზარეულო ძალიან კარგად ვიცი. ძალიან დასუსტებულ ნაციონალურ მოძრაობას დავუდექით გვერდით მე და პაატა ბურჭულაძე საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

*– პარტია გაიყო, ამდენი ადამიანი წამოვიდა. რა ბედი ელის არჩევნების წინ ნაციონალურ მოძრაობას?*

– ახლა იქ სულ სხვა პროცესები მიდის. ახლა სულ სხვა ტალღაა და პირიქით, ნაციონალური მოძრაობა ძლიერდება. როდესაც მოვაჭრე, იდეისგან დაცლილი ადამიანი გადის პარტიიდან, ისეთი, როგორიც ნიკა მელიაა, პირიქით, დარჩენილები უფრო გაძლიერდებიან. მელია გამოდის და ხალხს ეუბნება, მე მივდივარ მომავალში და ვტოვებ წარსულს. ამ წარსულს ვის უტოვებს? ჩემნაირებს?! ოპოზიციაში რომ ვიყავი ყოფილი ხელისუფლების დროს?! იმ ავადსახსენებელი ციხის კადრების დროს, მთავარი პროკურორი იყო მურთაზ ზოდელავა, ყოფილი პოლიციის აკადემიის უფროსი იყო ხატია დეკანოიძე! ნიკარონ მელიამ ხელი ჩაკიდა მურთაზ ზოდელავას, ხატია დეკანოიძეს და წავიდა მომავალში?! ვის წარსულზე ლაპარაკობს ეს კაცი?! ჩვენ გვიტოვებს თავის წარსულს?! ხომ ნახეთ რა თქვა ხაზარაძემ? მე ნიკა მელიას განვიხილავ სტრატეგიულ პარტნიორად. ძალიან ლოგიკურია, აბა, რა! აღსრულების ბიუროს ხელმძღვანელი მელია პლუს ბანკირი, მევახშე ხაზარაძე! აი, ეს ტანდემია! და ეს არის საქართველოს მომავალი? ვერა, ვერ იქნება ეს საქართველოს მომავალი!

*– მათ ასევე აქვთ სათქმელი, რომ მეორე მხარეს არის მერაბიშვილი და კეზერაშვილი. ამაზე რას იტყვით?*

– ახალ თაობაზე, ახალგაზრდებშია საქართველოს მომავალი. პრემიერობის კანდიდატად მე ვერც ვანო მერაბიშვილს ვხედავ და ვერც კეზერაშვილს. ბევრი ახალგაზრდაა დღეს ნაცმოძრაობაში, სუფთა სახეები, რომლებსაც წარსულთან არაფერი აკავშირებს. ასეთია, ირაკლი ფავლენიშვილი, ახალგაზრდა იგორ ნარმანია, გიორგი ვაშაძე, რომელსაც სისხლთან კავშირი არ ჰქონია. ლევან ხაბეიშვილს, რომელსაც ასევე არ ჰქონია რაიმე დანაშაული, მისი წარსულიც აბსოლუტურად სუფთაა.

*– ახალი სახეები უნდა წამოვიდნენ წინ?*

– დიახ, ასეა. ასევე არ დამავიწყდეს სოფო ჯაფარიძე. ეს ყველა ახალი სახეა და რა ხდება, ვერ გავიგე? რატომ არის მომავალი მურთაზ ზოდელავა, ხატია დეკანოიძე და ნიკა მელია და ეს ახალგაზრდა, სუფთა წარსულის მქონე პოლიტიკოსები რატომ არიან წარსული, ამიხსენით ვინმემ! ამიტომ ვამბობ, რომ მელია ვერავის მოატყუებს! მამუკა ხაზარაძე, ყველა სისტემის დროს შერწყმული ყველასთან და, 31%-იანი ბანკირი რანაირად არის საქართველოს მომავალი?! როგორ, რანაირად? ამიხსენით ვიღაცამ!

## უკრაინით ვაჭრობა 30 მილიარდ ევროდ – რას ითხოვს უნგრეთი უკრაინის თანხებზე ვეტოს მოხსნის სანაცვლოდ



უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის პოლიტიკური მრჩეველი ბალაშ ორბანი აცხადებს, რომ ბუდაპეშტი მზადაა გააუქმოს თავისი ვეტო უკრაინისადმი ევროკავშირის დახმარების ახალ პაკეტზე, თუ ბრიუსელი დათანხმდება თანხების განბლოკვას, რომლებიც გაყინულია უნგრეთში კანონის უზენაესობის შესახებ შეშფოთების ფონზე.

ევროპელი ლიდერები კვირის ბოლოს, სამიტზე აპირებენ ისტორიული გადაწყვეტილებების მიღებას უკრაინასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნისა და 50 მილიარდი ევროს, ოთხწლიანი დახმარების პაკეტის მიწოდების შესახებ. პირველ რიგში, მათ უნდა გადალახონ უნგრეთის წინააღმდეგობები ორივე თემაზე.

– თუ ევროკავშირი დაჟინებით მოითხოვს, რომ უკრაინის დაფინანსება ევროკავშირის შესწორებული ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს, მაშინ ეს ორი საკითხი ერთმანეთს უკავშირდება, – უთხრა ბალაშ ორბანმა ბლუმბერგს.

უნგრეთის ლიდერის თანაშემწის კომენტარი კეთდება მას, შემდეგ, რაც ევროკომისია აპირებს განბლოკოს ევროკავშირის 10 მილიარდი ევროს დაფინანსება, როგორც ჯილდო სასამართლო რეფორმებისთვის, რომელიც ბუდაპეშტმა განახორციელა სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ ბრიუსელის შეშფოთების გადასაჭრელად.

მაგრამ დანარჩენი დაბლოკილი თანხები – დაახლოებით 11,7 მილიარდი ევრო – სავარაუდოდ დარჩება გაყინული ადამიანის უფლებების დაცვასთან, საჯარო კონტრაქტების გაფორმებასთან და ქვეყანაში აკადემიური თავისუფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

ბუდაპეშტი ასევე ელოდება 10,4 მილიარდი ევროს გრანტებსა და იაფ სესხებს ევროკავშირის პოსტპანდემიური აღდგენის ფონდიდან, რომელიც ასევე დაბლოკილი უნდა იყოს მანამ, სანამ უნგრეთი არ განახორციელებს ანტიკორუფციული რეფორმების სერიას.

მიუხედავად ამისა, ორბანის თანაშემწემ თქვა, რომ ბუდაპეშტი ვეტოს მოხსნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრიუსელი გადასცემს მთელ გაყინულ ფულს, რაც დაახლოებით 30 მილიარდ ევროს შეადგენს.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა თქვა, რომ უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანება ბუდაპეშტისთვის „წითელ ხაზად“ რჩება და აღნიშნა, რომ კიევს უნდა შესთავაზონ ბლოკთან სტრატეგიული პარტნიორობა, რადგან მას ჯერ არ შეუსრულებია გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის კრიტერიუმები.

## რომან გოცირიძე ფინანსთა მინისტრს – ეს არის ფლანგვის ბიუჯეტი



2024 წლის ბიუჯეტი, როგორც ტრადიციულად ყველა ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია „ქართული ოცნების“ მიერ, ხასიათდება ერთი და იმავე სიტყვით, ეს არის ფლანგვის ბიუჯეტი, – ამის შესახებ „ევროოპტიმისტების“ ლიდერმა რომან გოცირიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც ფინანსთა მინისტრი, ლაშა ხუციშვილი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიას წარადგენს.

გოცირიძის თქმით, 2024 წლის ბიუჯეტი არაეფექტური და არარაციონალური ხარჯვით არის გამორჩეული.

– 2024 წლის ბიუჯეტი განსაკუთრებით არის გამორჩეული, რადგან საარჩევნო წელია. ჩადებულია ისეთი ხარჯები, რომლებიც წინა საარჩევნო პერიოდში იჩენს თავს. დაქუცმაცებული თანხების გამოყენება დაიწყება წინასაარჩევნოდ, რაღაცის გაკეთებას რომ დაიწყებენ. განსაკუთრებულად არის ეს ბიუჯეტი არაეფექტური და არარაციონალური ხარჯვით გამორჩეული.

იზრდება ბიუროკრატიული ხარჯები. ასევე, იზრდება შტატიანი და შტატგარეშე თანამშრომლების რიცხვი. ამ შტატგარეშე თანამშრომლებს სინამდვილეში ჰქვიათ „ქართული ოცნების“ საბიუჯეტო სტრუქტურებში დამალული პარტიული აქტივი. არჩევნების პერიოდში მოგვევლინებიან „ქართული ოცნების“ კოორდინატორებად და მხარდამჭერებად, – განაცხადა გოცირიძემ.

## რომის პაპი: „დაე, დასრულდეს ისრაელელებისა და პალესტინელებისთვის ეს დიდი ტანჯვა“

რომის პაპი ფრანცისკე ღაზის სექტორში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოწოდებით გამოვიდა.

კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელის თქმით, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ „ჰამასის“ ტყვეობაში მყოფი ისრაელის მძევლები და ღაზის სექტორში ჰუმანიტარული დახმარება უნდა შევიდეს.

– ვიმეორებ ჩემს მოწოდებას დაუყოვნებლივი ჰუმანიტარული მიზნით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დაე, დასრულდეს ეს დიდი ტანჯვა ისრაელელებისა და პალესტინელებისთვის, – განაცხადა რომის პაპმა.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ხაფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მურაბ ლევეჯამშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

## ბათუმში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, ბათუმში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა.

ბათუმში, აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, მართლწესრიგის 20 ოფიცერი მუშაობას უკვე შეუდგა.

მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა მინისტრმა პირადად მიულოცა.

ვახტანგ გომელაური მართლწესრიგის ოფიცრებს გაესაუბრა და მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში წარმატება უსურვა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები.



მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია.

მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენციაში არაერთი მიმართულება შედის და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მის ფუნქცია-მოვალეობებში ასევე შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, მართლწესრიგის ოფიცრები მინიჭებული მანდატის ფარგლებში, მუდმივ კომუნიკაციაში არიან თავიანთ სამოქმედო არეალში მცხოვრებ მოქალაქეებთან.

მართლწესრიგის ოფიცრების შერჩევა საკონკურსო წესით ხდება, რის შემდეგაც კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმეკვირიან ინტენსიურ პროფესიულ სწავლებას გადიან.

საქართველოს მასშტაბით მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი უკვე მოქმედებს თბილისში, რუსთავსა და ბათუმში. ოფიცერთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად გაიზრდება და ინსტიტუტი ყველა მსხვილ ქალაქში ამოქმედდება.

## ვინ არის 35 წლის ქართველი კაცი, რომელსაც ინტერპოლი დის მკვლელობისთვის ეძებს

პოლონური მედია ლოძის პროკურატურაზე დაყრდნობით წერს, რომ დის მკვლელობაში ბრალდებული 35 წლის ქართველი კაცი საქართველოში იმყოფება. მათივე ცნობით, მას ინტერპოლით ეძებენ.

– 35 წლის კაცზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნის ბრძანება გაიცა. პროკურატურამ განაცხადა, რომ უკვე იცის, სად იმყოფება ეჭვმიტანილი კაცი... ბრალდებული საქართველოში იმყოფება, – წერს მედია.

ცნობისთვის, მკვლელობა 21 ნოემბერს მოხდა, არსებული ინფორმაციით, ქართველი ქალი სასიკვდილოდ მისმა ძმამ გაიმეტა, თუმცა, სასტიკი დანაშაულის მოტივი უცნობია. და-ძმა მარნეულიდან იყვნენ.

## ბოლნისში ავარიას 14 წლის მოზარდი ემსხვერპლა

ბოლნისში, სოფელ კოლაგირში ავტოსაგზაო შემთხვევას 14 წლის მოზარდი ემსხვერპლა. არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვანს მაღალი სიჩქარით მიმავალი მანქანა ქვეითთა გადასასვლელზე დაეჯახა.

დაშავებული ბიჭი სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

# „ივანიშვილი არსად აპირებს წასვლას, ის ხელისუფლებას არ დათმობს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „2007 წლის 7 ნოემბერს მე სააკაშვილს ვებრძოდი, კალაძე კი გუნდრუკს უკმევდა და სისხლიანი ბანერები მე უნდა გამომიფინონ?!“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია როგორი შეიძლება იყოს? ირაკლი კობახიძემ არ გამორიცხა, რომ შეიძლება ისევ დასჭირდეთ სისხლიანი ბანერები. მკვეთრად ნეგატიური კამპანია შეიძლება იყოს ორივე მხრიდან?***

– რაც შეეხება სისხლიან ბანერებს, არანაკლებ სისხლიანი აღმოჩნდა „ქართული ოცნება“. დღეს უფრო მეტი ნაცია „ქართულ ოცნებაში“, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობაში. ამას ვამბობ ყოველგვარი ირონიის გარეშე. ეს არის რეალობა. მურუსიძეები მე არ გადმომიბირებია, ივანიშვილის რეჟიმმა ჩაიხუტა. თუ ამომრჩეველი დაფიქრდება, დაინახავს რეალურად რა ხდება.

***– ამბობენ, რომ შეიძლება ისევ ებრაული პიარკამპანიის ჯგუფი დაიქირაოს „ოცნებამ“.***

– ვინც უნდათ, ის ჩამოიყვანონ. მოშე იქნება თუ ვინც იქნება, არ უშველით. ქართველი ხალხი ბრძენია. მმართველობის მე-12 წელს ივანიშვილმა ხალხს რა უნდა უთხრას, ცხოვრე-



ბის დონე გაუმჯობესდა თუ სამუშაობი შეიქმნა? პენსიები გაიზარდა თუ ხელფასები?! ყველა ყველაფერს მიხვდა. ხალხმა „ოცნებას“ უარი უნდა უთხრას. ასეც იქნება. არ შეიძლება, „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩეს.

***– ექსპერტები ამბობენ, რომ კანდიდატის სტატუსის მონიჭებასაც გამოიყენებენ წინასაარჩევნოდ.***

– რა თქმა უნდა, გამოიყენებენ და ყველაფერს იტყვიან, მაგრამ ხალხს ხომ ახსოვს, როგორ გამოვიდა კობახიძე, ღარიბაშვილი და როგორ გვითხრეს, რომ 1924 წლამდე არ აპირებდნენ ევროკავშირში განაცხადის გაკეთებას?! ეს განცახდება მე ხომ არ გამიკეთებია?! როგორ შეიძლება, ამის შემდეგ სტატუსის მონიჭება გამოიყენონ?! მათ არ უნდოდათ, რომ საქართველო დასავლური ცივილიზაციის ნაწილი ყოფილიყო. არ უნდოდათ, რადგან პუტინის დავალება სხვანაირია, პუტინის სურვილი სულ სხვაა. ევროკავშირი და დასავლური ცივილიზაცია ხალხს უნდოდა და ხალხმა სტატუსი მიიღო, როგორც არაერთხელ ითქვა. ქართველი ხალხი იმსახურებს დასავლურ ცივილიზაციაში ყოფნას. ეს ხელისუფლება რას იმსახურებს, კი ვიცით და მომავალი წელს მიიღებს კიდეც.

***– რას გულისხმობთ?***

– სახლში გაპანღურებას. „ქართული ოცნება“ იდგა პრორუსულ გზაზე და დღესაც დგას. ეს ყველაფერი მოჩვენებითია. „რუსული კანონი“ პარლამენტში მე კი არ გამიტანია, მათ გაიტანეს, მაგრამ რუსთაველის გამზირზე შეკრებილმა ხალხმა უთხრა, რომ მათ ნებას ვერავინ გადავა. ამიტომ ერთ საათში მოუწიათ უკან დახევა. ამ ქვეყნის მომავლის, ახალგაზრდების ნებას წინ ვერავინ აღუდგება. კალაძე არის ამ ქვეყნის მომავალი, მას უნდა მისცეს ხალხმა ხმა? 2007 წლის 7 ნოემბერს მე სააკაშვილს ვებრძოდი, კალაძე კი გუნდრუკს უკმევდა და სისხლიანი ბანერები მე უნდა გამომიფინონ?! იმედი მაქვს, ამომრჩეველს არ ექნება მოკლე მეხსიერება.

***– არჩევნებში მაინც რამდენად აქვს შანსი ოპოზიციას? ამბობენ, რომ ერთ-ერთი ურთულესი არჩევნები იქნება.***

– თუ ამომრჩეველი იქნება მოწოდების სიმაღლეზე, მოვა საარჩევნო ურნასთან და თავის არჩევანს გააკეთებს არა მონსტრი პარტიების, არამედ წვრილ-წვრილი პარტიების სასარგებლოდ, მაშინ „ოცნებას“ არაფერი გამოუვა და ეს ხელისუფლება დასრულდება. ამ ქვეყნის მომავალი არის წვრილ-წვრილი პარტიების ერთობა და შეთანხმებულად მოქმედება.



***– კოალიციური მთავრობა?***

– რასაკვირველია. როგორი იყო მონსტრი, დიდი პარტიების მმართველობა, ვნახეთ. 30 წელია ამ წრეზე დავდივართ. საპარლამენტო რესპუბლიკა რეალურად სწორედ წვრილ-წვრილი, ბევრი პარტიის პარლამენტში შესვლას ნიშნავს. შემდეგ ეს პარტიები უნდა შეთანხმდნენ და მთავრობა უნდა შედგეს. კოალიციური მმართველობა არის ამ ქვეყნის მომავალი და არა რეჟიმები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და არა ქვეყანაზე. ადამიანი კი საერთოდ არაფრად მიაჩნიათ. ამიტომ ასეთ რეჟიმებს ადამიანებმა უნდა უთხრან უარი. ხალხმა მათ განაჩენი უნდა გამოუტანოს. თუმცა, ასეთი რეჟიმები მარტივად არაფერს თმობენ. ივანიშვილი არსად აპირებს წასვლას. ის არ დათმობს ხელისუფლებას, რადგან ძალიან გაუტკბა. დარწმუნებული ვარ, ქუჩაში გასვლა მოგვიწევს. ასეთი რეჟიმები, სამწუხაროდ, უბრძოლველად არ მიდიან. ბრძოლა დაგვჭირდა დასავლური კურსისთვის, სტატუსისთვის და ბრძოლა დაგვჭირდება საბოლოოდ ამ რეჟიმიგან გასათავისუფლებლადაც.

## მამუკა მდინარაძე: „სტატუსთან დაკავშირებით მოლოდინი არის მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური“



– სტატუსთან დაკავშირებით მოლოდინი არის მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური, თეორიულად თუ შეიძლება დავუშვათ რაიმე სხვაგვარი გადაწყვეტილება, ეს შეიძლება იყოს ვადის ამბავი, – ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

ამასთან, მდინარაძე აღნიშნავს, რომ უნგრეთი საქართველოს განსაკუთრებით უჭერს მხარს.

– მოლოდინი არის მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური. თეორიულად თუ შეიძლება დავუშვათ რაიმე სხვაგვარი გადაწყვეტილება, ხაზგასმით, მხოლოდ თეორიაში, ეს შეიძლება იყოს ვადის ამბავი, მაგრამ კანდიდატის სტატუსს, ბუნებრივია, ვერანაირი საფრთხე ვერ დაემუქრება.

უნგრეთზე როცა აპელირებენ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ქვეყანა და მისი ლიდერი არა თუ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში ხელის შემშლელად შეიძლება მოგვევლინონ, არამედ ისინი ლობიზმის დონემდე ატანილი მხარდაჭერით ცდილობენ, საქართველოს დაეხმარონ ამ გზაზე. შეიძლება იმ დონეზე არა, როგორც ამას უნგრეთი გამოხატავს, მაგრამ, ასევე, არიან სხვა ქვეყნები საბედნიეროდ განწყობილი და როგორც იქნა სამართლიან გადაწყვეტილებას ველოდებით. შარშან იყო უსამართლო გადაწყვეტილება, ესეც უნდა აღინიშნოს, – განაცხადა მდინარაძემ.

## ნუგზარ წიკლაური: „ვტოვებ ენმ-ს“



ნუგზარ წიკლაურმა პარტიის ახალი მმართველობა გააკრიტიკა და წასვლის მიზეზადაც ეს დაასახელა.

– დიახ, შეგვიძლია ასე ვთქვათ, რომ ვტოვებ ენმ-ს. ჩვენ ვნახეთ ის ვითარება, რაც უძღოდა ამ ამბებს. მთელი 9 თვის განმავლობაში, გულწრფელად ვამბობ, ყველანაირად ვცდილობდი, რომ არ მომხდარიყო იმ ღირებულებების, დემოკრატიული ფასეულობების დევალვაცია, რაც იყო დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასთან.

კიდევ ერთხელ ვამბობ, მას შემდეგ, რაც უარყო ამ პოლიტიკურ პარტიაში მმართველობამ საკუთარი პოლიტიკური საბჭო, საკუთარი წარსული, საკუთარი ისტორია, მას შემდეგ, რაც უარყო ათი ათასობით საკუთარი ამომრჩევლის, პოლიტიკური პარტიის წევრის პოზიცია, ამის შემდეგაც ვერ შეისმინა ვერაფერი ახალმა მმართველობამ, ამიტომ ვფიქრობ, რომ იქ აღარ არის არაფერი, – განაცხადა წიკლაურმა.

## „გიორგი ვაშაძე: „პრეზიდენტმა თანამდებობა არ უნდა გაუთავისუფლოს ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“



პრეზიდენტმა თანამდებობა არ უნდა გაუთავისუფლოს ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“, რომ 5 წლით ქოც-ხმოსნებით აირჩიონ კიდევ ახალი პრეზიდენტი, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საპარლამენტო არჩევნებამდე თანამდებობის დატოვების შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ 5 წლის ვადით მისთვის სასურველი პირის არჩევას შეძლებს.

– ჩემი მოსაზრებაა, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე პრეზიდენტის თანამდებობა არ უნდა გაუთავისუფლოს „ქართულ ოცნებას“, რადგან დღეს მოქმედი წესით, მათ შეეძლებათ, 5 წლის ვადით აირჩიონ მათთვის სასურველი პირი, კობახიძე ან ვილაც.

ამიტომ არის საპარლამენტო არჩევნები, რომ ვისაც მანდატს მისცემს ხალხი, მათ აირჩიონ უკვე აპოლიტიკური პრეზიდენტი შემდეგი 5 წლის ვადით.

პრეზიდენტის როლს რაც ეხება, თუ მას მართლა უნდა ფუნქცია შეასრულოს, შეეცადოს მეტნაკლებად მაინც გაჯანსაღებული იყოს პოლიტიკური გარემო. აქ ვხედავ მე პრეზიდენტის როლს, – განაცხადა ვაშაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მდგომარეობაა გადამწყვეტ არჩევნებამდე?

## „ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ ცნობილი კონსულტანტი კიდევ ერთხელ მოიწვია

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საპარლამენტო არჩევნებამდე ათ თვეზე ნაკლებია დარჩენილი. დღესასწაულებისა და ზაფხულის ცხელი დღეების გათვალისწინებით, პოლიტიკურ პარტიებს აქტიურობისთვის არც ისე დიდი დრო აქვთ.

საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველია. ცხადია, ის, რომ მოსახლეობის ინტერესი ხშირად არ ემთხვევა იმ საქმიანობას, რასაც პოლიტიკური ორგანიზაციები ეწევიან. ამ მხრივ, ბუნებრივად, პრივილეგირებულ მდგომარეობაშია მმართველი პარტია. ბიუჯეტი ხალხის ფულია, თუმცა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების ზრდა და ესა თუ ის სოციალური პროგრამა რეიტინგს უმტკიცებს სახელისუფლებო პარტიას.

### „ქართული ოცნების“ სამზადისი

„ქართული ოცნება“ არჩევნებისთვის პოლიტტექნოლოგიურადაც ემზადება. პარტიისვე გავრცელებული განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ კონტრაქტი გააფორმა ცნობილ მოშე კლუგჰაფტთან და მირი მიქაელთან, როგორც საარჩევნო პერიოდში პარტიის სტრატეგიულ მრჩეველებთან. კლუგჰაფტი მართავდა სალომე ზურაბიშვილის მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიას 2018 წელს.

მმართველი პარტია, ერთი მხრივ, პრივილეგირებულ მდგომარეობაშია, მეორე მხრივ, ხელისუფლებაში ყოფნა გაუხანგრძლივდა. თანაც, „ოცნება“ ცდილობს, მოიზიდოს როგორც პროდასავლელი, ისე ანტიდასავლელი ამომრჩეველი. ეს რთულია.

ხელისუფლება, ასევე, ცესკო ირწმუნება, რომ 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იქნება. ცესკო ამის თაობაზე სისტემატურად ავრცელებს განცხადებებს და ცდილობს, გააქარწყლოს გამოთქმული ეჭვები არჩევნების გაყალბების თაობაზე.

ცესკოს მორიგი განცხადებით, დაინტერესებული მხარეები ავრცელებენ სიცრუეს არჩევნების შესახებ.

– საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა კვლავ რჩება დაინტერესებული პირების მხრიდან არაარგუმენტირებული და უსაფუძვლო ბრალდების ობიექტი. არც ვერიფიკაციისა და არც ხმის დამთვლელ აპარატებს არ აქვთ პროგრამული შესაძლებლობა, რომ ინტერნეტით მონაცემები მიიღონ ან გააგზავნონ. პლანშეტს შეუძლია ინფორმაციის გადაგზავნა მხოლოდ ცესკოში და არსად სხვაგან. არც ვერიფიკაციისა და არც ხმის დამთვლელ აპარატებს ინტერნეტთან კავშირი არ აქვს, – ნათქვამია ცესკოს განცხადებაში.

### სიტუაცია ოპოზიციურ ფლანგზე

პოლიტიკური პარტიები თავიანთ წინასაარჩევნო ტაქტიკას აწყობენ არსებული გარემოს გათვალისწინებით. 5%-იანი საარჩევნო ბარიერი და საარჩევნო ბლოკების აკრძალვა პარტიებს ერთმანეთთან გაერთიანებისკენ უბიძგებს. ამასთან, კანონმდებლობით, შერწყმის შემთხვევაში, გაერთიანების დასახელებაში ყველა სუბიექტის დასახელება ვერ დარჩება.

იკრძალება იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური ორგანიზაციების დაფინანსება. ეს შეზღუდვა ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას აღელვებს, ზოგი კი აცხადებს, რომ საქართველოში ბიზნესი ისედაც ვერ აფინანსებდა იმ პარტიას, რომელიც მოსწონდა. ასე რომ, ამით დამოუკიდებელი ოპოზიციისთვის ბევრი არაფერი იცვლება.

გაერთიანებების მხრივ გამოირჩნენ ნაციონალური მოძრაობა და „სტრაგეგია ალმაშენებელი“, რომლებმაც ერთიანი პლატფორმა შექმნეს (უფრო ზუსტად, გიორგი ვაშაძე ნაციონალურ მოძრაობას დაუბრუნდა); ასევე „დროა“ და „გირჩი-მეტი თავისუფლება“.

პოლიტიკურ ველზე ვითარება ჯერ კიდევ არეული და გაურკვეველია ყველაზე რეიტინგულ ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარე პროცესების გამო და იმიტომაც, რომ ჯერ საარჩევნო განაცხადი ყველას არ გაუკეთებია.

ნაციონალურ მოძრაობას ათთვიანი ალიაქოთის შემდეგ გამოეყო ნიკა მელია თავისი გუნდით. ამასთან, მის გუნდს, დედაქალაქის გარდა, ბევრი სხვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის პოლიტიკოსები (ხშირ შემთხვევაში, საკრებულოების დეპუტატები) წარმოადგენენ.

– ჩვენს ახალ პარტიას ექნება მთავარი ამბიცია – იყოს ხალხის ინტერესების წარმომადგენელი, რომელიც დაანგრევს ივანიშვილ-კეზერაშვილის პოლიტიკურ კორუფციას, შეცვლის თამაშის უწესო წესებს წესიერებითა და სიმართლით, – აცხადებს ნიკა მელია.

– არ ვგეგმავთ არცერთ პარტიასთან შერწყმას, მაგრამ ის, რომ ჩვენ გვექნება კოორდინირებული მუშაობა, თანამშრომლობა სხვა პროდასავლურ პარტიებთან, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, – ამბობს მელიას თანაგუნდელი ბაჩო დოლიძე.

ნიკა მელიას ნაციონალურ მოძრაობაში დარჩენილები აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ მას სააკაშვილის ხმების წაღება უნდა.

– სააკაშვილია ნაციონალური მოძრაობის თავი, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა. მელია ამ ხმებს ვერ წაიღებს. მიხეილ სააკაშვილმა თქვა, ვინც გახვალთ, გაიზიარებთ „ევროპული საქართველოს“ ბედს. ახლა დაადგა ნიკა მელია გიგა ბოკერიას გზას. პარტიაში ძირითადი გადაწყვეტილებებისა და ძირითადი ხაზის განმსაზღვრელია მიხეილ სააკაშვილი და არა კეზერაშვილ-მერაბიშვილი, – აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

ქვეყანაში ბევრს საუბრობენ სალომე ზურაბიშვილის შესაძლო ჩართვაზე მომავალ საარჩევნო პროცესში. ჯერჯერობით, ის მოქმედი პრეზიდენტია და ამგვარი აქტივობის უფლება არა აქვს. თუ თანამდებობიდან გადადგა, მაშინ სხვა სიტუაცია შეიქმნება.

გამოითქმის სხვადასხვა პროგნოზი, თუ ვისთან ერთად შეიძლება დადგეს სალომე ზურაბიშვილი. ერთ-ერთი ვერსიით, სალომე ზურაბიშვილი იქნება „ლელოსთან“ (ხაზარაძე-ჯაფარიძე), „საქართველოსთვის“ (გახარია), ასევე იმ საზოგადოებრივ მოძრაობასთან ერთად, რომელიც ნინო ლომჯარიამ დააფუძნა. „საქართველოს ევროპული ორბიტა“ ჯერ პარტიად არ გადაკეთებულა.

ამ დროისთვის „ლელოც“ და „საქართველოსთვის“ აქტიურები არიან. ამასთან, ერთმანეთის მიმართ მუდმივად კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამენ.

პოლიტიკურ გააქტიურებას გეგმავს „მთავარი არხის“ დამფუძნებელი ნიკა გვარამია.

საქართველოში არსებობენ მკეთრად გამოხატული ანტიდასავლური პოლიტიკური ძალები. ზოგ შემთხვევაში ისინი იწონებენ მმართველი პარტიის გადაწყვეტილებებს. მას შემდეგ, რაც ევროკომისიამ (8 ნოემბერს) საქართველოს მიმართ დადებითი რეკომენდაცია გასცა კანდიდატობაზე, ანტიდასვლელებმა ხელისუფლების კრიტიკას უმატეს. არჩევნებისთვის ისინიც ემზადებიან.

### „მოსახლეობას არავინ არაფერს სთავაზობს“

პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძის შეფასებით, პოლიტიკური პარტიები დაშორებული არიან ხალხს და მას არაფერს სთავაზობენ:

– მოსახლეობას არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არაფერს სთავაზობს. ოპოზიცია მუდმივად ლაპარაკობს, რომ „ქართული ოცნება“ პრორუსულია. ხელისუფლება რასაც აკეთებს, აკეთებს. ოპოზიციას სათქმელი არაფერი აქვს. ვფიქრობ, რომ ოპოზიცია ამლაშებს ძალიან ბევრ თემას, რომელსაც საზოგადოება სხვანაირად უყურებს.

– ოპოზიციისთვის ეს არჩევნები იქნება ერთ-ერთი ყველაზე რთული არჩევნები, რაც კი ბოლო 30 წლის განმავლობაში ყოფილა. ნაცმოძრაობის დასუსტების პროცესი აჩენს პერსპექტივებს დანარჩენი შედარებით მსხვილი ოპოზიციის მოთხოვნისთვის, – აცხადებს ანალიტიკოსი ხათუნა ლაგაზიძე.

ეკონომიკა

# „საშუალო ფენა განსაკუთრებით იზრდება“

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI-ს) კვლევის მიხედვით, საქართველოში ათიდან ერთი მოქალაქე ამბობს, რომ ოჯახს საკვებზე ფული არ ჰყოფნის. ხოლო, ოთხში ერთი ადამიანის თქმით, ოჯახს შემოსავალი მხოლოდ საკვებზე ჰყოფნის და სხვა არაფერზე.

ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კომფორტულად ცხოვრებისთვის ყოველთვიურად 3 ათას ლარზე მეტი შემოსავალია საჭირო.

როგორც ეკონომისტმა პაატა აროშიძემ განაცხადა, აღნიშნულმა კვლევამ კიდევ ერთი ტენდენცია გამოკვეთა, რომლის მიხედვითაც საქართველოში საშუალო ფენა იზრდება.



– ყველა მიაქცევდა ყურადღებას, რომ არის გარკვეული კითხვები, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის შემოსავლებს, თუ რომელ ფენას მიეკუთვნება ის. ამ მხრივ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ, რომ საშუალო ფენა განსაკუთრებით იზრდება. აქ მთავარია, საშუალო ფენიდან ადამიანი რა სიხშირითა და სისწრაფით გადადის შეძლებულ ფენაში, ან პირიქით, ღარიბ-ღატაკის ფენაში.

ახლა ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანი სწრაფად გადადის მდიდრის სოციალურ მდგომარეობაში, ან სწრაფად ღარიბდება. ის შემოსავლები, რომელიც არის, საშუალო ფენისთვის დამაკმაყოფილებელია, ამაზე მიუთითებს, თუნდაც, იგივე სამთავრობო თუ არასამთავრობო კვლევები. რეალურად ადამიანს მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა გაჩნია, იგივე საკვები და ტანსაცმელი, მაგრამ გააჩნია, როგორი კუთხით შევხედავთ კვლევას. თუ, ერთი მხრივ, ეს არის ძალიან ცუდი, 10-დან ერთ ადამიანს არ აქვს საშუალება, რომ საკვები იყიდოს, მეორე მხრივ, ჩამოყალიბებულია ისეთი საშუალო ფენა, რომლის ჩამოყალიბებასაც საკმაოდ დიდი ხანი სჭირდება.

თუმცა, ისმის შეკითხვა, როგორი არის დიფერენცირებული საშუალო ფენის შემოსავლები? როდესაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით, 90% დამოკიდებულია საბანკო კრედიტებზე, შემოსავლის რა ნაწილი ხმარდება ამ საბანკო კრედიტების დაფარვას. საბანკო კრედიტით ადამიანმა შეიძინა ხანგრძლივი მოხმარების პროდუქცია, მაგრამ მასზე უნდა მოხდეს მომსახურება. სამწუხაროდ, ჩვენთან ბანკის მომსახურება საკმაოდ ძვირია, მაგრამ კრედიტის აღება იოლი.

განსაკუთრებით დღევანდელი პერიოდია საინტერესო, როდესაც ადამიანები უკვე აკეთებენ მარაგებს. ანუ მარაგების დაგროვება გარკვეულწილად იწვევს ეროვნული ვალუტის გასვლას ბაზარზე, რაც ხმარდება ლარის გამყარებას, – განაცხადა პაატა აროშიძემ.

# კალიურანდი: „თუ უკრაინის შემთხვევაში პროგრესულ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, ანალოგიურად უნდა მოხდეს საქართველოსა და მოლდოვას შემთხვევაშიც“

ისტორიულ გადაწყვეტილებამდე ორი დღით ადრე ევროპარლამენტარებს პროგნოზის გაკეთება ისევ უჭირთ. ევროდეპუტატები ამბობენ, რომ არ იციან, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროსაბჭო ასოცირებულ ტრიოსთან დაკავშირებით.

მარინა კალიურანდი პირდაპირ ამბობს, რომ თუ უკრაინის შემთხვევაში გააწყვეტილება უარყოფითი იქნება, სამართლიანი იქნება, რომ ანალოგიური გადაწყვეტილება იქნეს მიღებული საქართველოსა და მოლდოვასთან მიმართებაშიც.

– რთულია, თითქმის შეუძლებელია, იწინასწარმეტყველო, რა მოხდება 2 დღის შემდეგ ევროპულ საბჭოში. ვფიქრობ, სამართლიანია, როდესაც სამივე ქვეყანა ერთად მოიაზრება. თუ უკრაინის შემთხვევაში პროგრესულ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, ანალოგიურად უნდა მოხდეს საქართველოსა და მოდლოვას შემთხვევაშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სამართლიანი არ იქნება, რადგან უნდა გაგვახსენდეს, რატომ დავიწყეთ საუბარი გაფართოებაზე. უკრაინის ომის გარეშე ამ საკითხზე არც კი ვისაუბრებდით. ეს არის რეალობა. იმედი მაქვს, მწვანე შუქს სამივე ქვეყანას აუნთებენ, – ამბობს კალიურანდი.

ამასთან, ევროპარლამენტარი ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია, საქართველომ 9 დათქმა ზედმიწევნით შეასრულოს. მისი თქმით, საქართველოში პოლარიზაცია ჯერ კიდევ არსებობს, რომლის დასაძლევადაც არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ნაბიჯებს არ დგამს.

– ცხრავე პირობა საქართველოსთვის არის თანაბრად მნიშვნელოვანი. ევროკომისიამ ეს ძალიან მკაფიოდ თქვა. ეს არის ის დარგები, სადაც საქართველომ უნდა განიცადის პროგრესი. ეს არის თქვენი ქვეყნის მომავალი, თუ გინდათ, რომ იყოთ ამ კლუბის წევრი. რაც შეეხება პოლიტიკოსების როლს, რთულია წახვიდე უფრო შორს. პოლარიზაცია, რომელიც თქვენს ქვეყანაშია და პოლარიზაცია, რომელიც თქვენს ქვეყანაში სულ იყო, კიდევ ერთხელ ვიტყვი, პოლიტიკურმა პარტიებმა დაუშვეს უდიდესი შეცდომა, როცა არ შევიდნენ პარლამენტში. მათ მიიღეს მანდატი საკუთარი ამომრჩევლისგან. „ქართულმა ოცნებამ“ დაუშვა ძალიან ბევრი შეცდომა, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი შეცდომა იყო ორივე მხრიდან. სამწუხაროდ, დღეს ვერ ვხედავთ პოლიტიკურ სურვილს, რომ გადალახონ პოლარიზაცია. პოლარიზაცია არის პოლიტიკურ გარემოში, პოლარიზაცია არის მედიაში. თქვენი ქვეყანა ვერ იქნება წარმატებული, თუ არ ისწავლით, რომ ითანამშრომლოთ სხვებთან და თუ არ ისწავლით, რომ მოუსმინოთ სხვებს, – ამბობს მარინა კალიურანდი.

# დღგ-ს ყალბი აქტივის შექმნა-გამოყენების ფაქტი — მხილებულია 4 პირი



იდენტიფიცირებულია 4 ბიზნესმენი, ვინც ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების ყალბი აქტივები დაამზადა. ამ სქემით კი სახელმწიფო ბიუჯეტს ნახევარი მილიონი ლარის ზარალი მიაყენა. დანაშაულებრივი დაჯგუფების ოთხი წევრიდან 2 დაკავებულია, დანარჩენებს კი საგამოძიებო უწყებამ ბრალი წარუდგნა. დანაშუალის დამტკიცების შემთხვევში ყველას 7 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფი თოთხმეტი კომპანიის სახელით, ურთიერთშორის გაწერეს ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, თითქოსდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე, რა გზითაც შეიქმნეს ჯამში 514.641 ლარის ოდენობის დღგ-ს ყალბი აქტივი, რომელიც შემდგომ გამოყენებულ იქნა ბიუჯეტის მიმართ არსებული საგადასახადო ვალდებულებების დასაფარად.

სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის დაფარვის უზრუნველსაყოფად, დაყადაღებულია ბრალდებულების სახელზე რიცხული უძრავი ქონება და საბანკო ანგარიშები.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე და 185-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ბრალდებულებთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იწყებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის შექმნა

**კრემლი ძირძველი ქართული მიწების საერთაშორისო „აღიარებასაც“ ესწრაფვის. თუ როგორ იწყებოდა და ვითარდებოდა ე.წ. სამხრეთ ოსური კონფლიქტი, ამაზე გთავაზობთ გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრთან, თენგიზ სიგუასთან ჩაწერილ ინტერვიუს, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.**

**თენგიზ სიგუა:**

– ყველაფერი ჯერ კიდევ 1989 წლიდან მზადდებოდა. მაშინ უკვე ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირი სულს ლაფავდა. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში იყო ცნობილი ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც აკადემიკოს ბრომლეის სახელს ატარებდა. სსრკ-ს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და უშიშროებამ (კაგებემ) სწორედ ამ ინსტიტუტს მისცეს შემდეგი დავალება – კავშირის დაშლის შემდეგ რა ღონისძიებები უნდა ჩაეტარებინა მოსკოვს, რომ თავის ორბიტაზე აწ უკვე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები შეენარჩუნებინა.

ამ ინსტიტუტში მართლაც ძალიან ძლიერი სამეცნიერო ძალები იყო თავმოყრილი. იქ ყველაზე კარგად იცოდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ერების ფსიქოლოგია, მათ შორის ეთნოფსიქოლოგიაც. ამ ინსტიტუტმა დავალება „პირნათლად“ შეასრულა. თუმცა მის დოკუმენტს ედო გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“, მე მაინც მომეცა საშუალება და ამ დოკუმენტის შინაარსი გამაცნეს.

***– რა ძირითად მიმართულებებს მოიცავდა აღნიშნული დოკუმენტი?***

– სულ 18 პუნქტიანი დოკუმენტი იყო, მაგრამ მოკლედ გეტყვით, რა რეკომენდაციები დგას მის უკან: პირველი – იმისთვის, რომ რესპუბლიკები კრემლის ორბიტაზე შენარჩუნდნენ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ახლავე უნდა შეიქმნას ე.წ. ინტერ-ფრონტები. იგულისხმებოდა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გარდა ავტოქტონური მოსახლეობისა ცხოვრებენ სხვა ერებიც. მათ საერთო საკომუნიკაციო ენა რუსული ჰქონდათ. ამიტომ ეს ერები ინტერ-ფრონტებში უნდა გაერთიანებულიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლებების წინაალმდეგ.

ამ რეკომენდაციამ ბევრ რესპუბლიკაში იმუშავა. მაგრამ საქართველოში მან ვერ ჰპოვა ისეთი ძლიერი დასაყრდენი, რომ ამ ინტერ-ფრონტს გაემართლებინა. ამიტომ საქართველოში მოქმედებაში შევიდა მეორე პუნქტი. იგი გულისხმობდა ავტონომიური წარმონაქმნების დაპირისპირებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ამან საქართველოში „კარგად“ იმუშავა.

***– რა ნაბიჯებით დაიწყო ეს ყველაფერი?***

– 80-იანი წლების დასასრულს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა საკუთარ თავს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭა. ამის საპასუხოდ საქართველოს იმჟამინდელმა პარლამენტმა, რომელსაც უზენაესი საბჭო ერქვა, მიიღო დადგენილება და საერთოდ გააუქმა ოსეთის ავტონომია. ოთხი ადმინისტრაციული რაიონი, რისგანაც ეს ოლქი შედგებოდა, საქართველოს ჩვეულებრივ რაიონებად გამოაცხადა.

დღესაც რომ მკითხოთ, სავსებით გამართლებულად მიმაჩნია ეს გადაწყვეტილება. არასოდეს ოსეთს რაიმე ავტონომიური წარმონაქმნი საქართველოს ტერიტორიაზე არ ჰქონია. იგი შექმნეს ბოლშევიკებმა. სახლში მაქვს ისტორიული რუკა, 1893 წელს გამოცემული რუსეთში, მოსკოვში. ამ რუკაზე თვალნათლივ ჩანს, რომ ცხინვალი არის გორის მაზრის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი, მეტი არაფერი. ამიტომ უზენაესი საბჭოს მაშინდელი გადაწყვეტილება სავსებით გამართლებულად მიმაჩნია. თუ ამ საკითხში მომავალში სხვა გზით წავალთ, ეს საქართველოს დაღუპავს.

***– უფრო კონკრეტულად?***

– არავითარ შემთხვევაში არ ვარ იმის მომხრე, რომ სამხრეთ ოსეთს პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი აღუდგეს. ახლა მეორე ფაქტორსაც გეტყვით.საქართველოში ცხოვრობს 150 ათასი ოსი, აქედან ავტონომიაში მხოლოდ 50 ათასი ცხოვრობდა. დანარჩენი 100 ათასი ოსი მთელ საქართველოში ცხოვრობს. რის საფუძველზე უნდა ჰქონოდათ ცხინვალში ავტონომია? ეს ბოლშევიკების დანაშაული იყო გამომდინარე შედეგებით. კულტურული ავტონომია კი ბატონო, მაგრამ პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომიის აღდგენა დაუშვებელია. ეს ისევ ნელი მოქმედების ნაღმი იქნება საქართველოს მიწაში ჩადებული.

***– ავტონომიის გაუქმების გადაწყვეტილების შემდეგ, იქ ქართული მილიციის ნაწილების შეყვანა რამდენად გამართლებული იყო?***

– ამის შემდეგ იქ დაიწყო წინააღმდეგობები, მათ შორის შეიარაღებული წინააღმდეგობებიც. ამიტომ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება იქ პოლიციის ძალების შეყვანის შესახებ. შევიდნენ საკუთრივ პოლიციის ძალები და პოლიციის აკადემიის სტუდენტები. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ჩვენი პოლიციის გენერალი, აწ გარდაცვლილი გივი კვანტალიანი. გენერალმა კვანტალიანმა ისე მოახერხა, რომ იქ წინააღმდეგობა მთლიანად დაძლეული იქნა და დამყარდა სიმშვიდე.

***– ამის შემდეგ რატომ შეიცვალა სიტუაცია ჩვენთვის არასასიკეთოდ?***

– უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს გივი კვანტალიანმა მიიღო ბრძანება, თავისი პოლიციური ძალების ცხინვალიდან გამოყვანის თაობაზე. იქ საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარები შევიდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ოსების მნიშვნელოვანი გააქტიურება საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა მომხდარიყო და იგი დიდ შეცდომად მიმაჩნია.



ამის შემდეგ ოსებმა უკვე გათავხედება დაიწყეს. შეიარაღებულ თავდასხმებს ახორციელებდნენ. თუმცა ჩვენც ხელს არ ვაკლებდით. ჩვენი მხრიდანაც იქ საკმაოდ ძლიერი სამხედრო ოპერაციები იყო ჩატარებული. ყოველივემ მიგვიყვანა იმ სიტუაციამდე, რაც დღეს არის რეალურად.

***– რა როლი ითამაშა მდგომარეობის აქამდე მიყვანაში დაგომისის ცნობილმა შეთანხმებამ?***

– კიდევ ერთი დიდი შეცდომა, რაც ჩვენ დავუშვით, ეს იყო დაგომისის ცნობილი ხელშეკრულება. რუსეთი რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდა, ეს ხომ ყველასთვის ცნობილი იყო? რუსები ყველა რესპუბლიკაში ისეთი გარდაქმნების განხორციელებას ცდილობდნენ, რომ თავის ორბიტაზე დაეტოვებინათ ისინი საბჭოეთის დაშლის შემდეგაც. ასეთივე მცდელობა აქაც იყო და ეს ჩვენ ყველამ ვიცოდით. მაგრამ 1993 წელს უცებ დაგომისში ხელი ეწერება ხელშეკრულებას და რუსები ინიშნებიან მომრიგებელ-მოსამართლეებად. არ ვიცი, ეს უკვე შეცდომაა, თუ დანაშაული ქვეყნის წინაშე. ანუ დაინტერესებული მხარე ინიშნება მომრიგებლად. ამის შედეგად ისინი 2008 წლამდე ამ ე.წ. სამშვიდობო მისიას ასრულებდნენ. თუმცა დაგომისის დოკუმენტში შავით თეთრზე ეწერა, რომ იქ დსთ-ს სამშვიდობო ძალები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ შესანიშნავად ვიცით, რომ იქ არცერთი უკრაინელი, ყაზახი, უზბეკი და მოლდაველი არ ყოფილა. მხოლოდ რუსული ძალები იყვნენ.

დღეს ისინი უკვე თავხედურად სამხედრო ბაზებს ხსნიან, შეაქვთ და და შეაქვთ სამხედრო შეიარაღება. ეს იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ 1993 წელს უნდა მოგვეთხოვა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩარევა ჩვენს შიდა კონფლიქტებში. რუსეთი სამშვიდობო მოლაპარაკების ერთ-ერთ მხარედ არანაირად არ უნდა გვეღიარებინა. თავიდანვე არ უნდა მიგვეცა მათთვის აფხაზეთში და ცხინვალში კონტროლის განხორციელების საშუალება.

***– რატომ ვერ შეცვალა ამ მხრივ პოლიტიკა ჩვენს სასარგებლოდ სააკაშვილის ხელისუფლებამ?***

– ძალიან ბევრი შეცდომები იყო დაშვებული. ხომ გახსოვთ 2005 წელს იქ რა მოხდა? შევიყვანეთ სამხედრო ძალები და სასტიკად დავმარცხდით. ალბათ გემახსოვრებათ საშინელი კადრები, როდესაც დაჩოქილი და თავზე ხელებშემოჭდობილი ორმოცდაათი სამხედრო დააპატიმრეს. ასეთი სამარცხვინო კადრი ჩვენ უახლოეს ისტორიაში არ ყოფილა.

მაშინაც აბსოლუტურად მოუმზადებელი ოპერაცია იყო. დღესაც გაუგებარია, რატომ ჩაატარეს ის ოპერაცია. იგივე მოხდა შარშან, 8 აგვისტოსაც. ძალიან დეტალურად რომ შევისწავლე ის ამბები, ერთ დასკვნამდე მივედი. მეჩვენება, რომ შეერთებული შტატების ჩუმი თანხმობა იყო, რომ ქართველებს ცხინვალში სამხედრო ოპერაცია დაეწყოთ. ამაზე ორი ფაქტორი მიუთითებს: თუ გახსოვთ, ცოტა დაგვიანებით პრეზიდენტმა სარკოზიმ თქვა, რომ როდესაც ეს ომი დაიწყო, ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა დამირეკა და მითხრა, რომ ნუ ჩაერევი, რუსები თბილისში შევიდნენო. ე.ი. ბუშს უნდოდა, რომ რუსები თბილისში შესულიყვნენ; ეს ყოველივე ხდებოდა, რა თქმა უნდა, საქართველოს ხარჯზე. მაგრამ მორალურად დასავლეთი მთელს მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახვებდა რუსეთის სახეს. მორალურად ბუში რასაკვირველია გამარჯვებული იქნებოდა, მაგრამ ვის ხარჯზე კეთდებოდა ეს? რასაკვირველია საქართველოს ხარჯზე.

მეორე – როდესაც გავიგეთ, რომ ევროკავშირი და აშშ დახმარების სახით 4,5 მილიარდს გამოგვიყოფდა, დავიწყე ამ საკითხის შესწავლაც; ამხელა დახმარება ჩვენი დონის სახელმწიფოს არასოდეს, არავისგან არ მიუღია. ერთადერთი ეს არის ისრაელი, რომელიც ყოველთვის დიდ დახმარებას იღებს ევროპისგან და შეერთებული შტატებისგან. სხვა ასეთი მაგალითი არ არის. ეს მომენტიც იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთმა და შეერთებულმა შტატებმა შინაგანად აღიარეს თავისი ვალდებულება და ამიტომ გამოყვეს ამხელა თანხა. ეს ფაქტორი იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკის ხელმძღვანელობის ჩუმი თანხმობა იყო ამ აქციაზე.

უნდა დაენახვებინათ მსოფლიოსთვის, რომ აი გავიდა ოცი წელი სსრკ-ს დაშლის შემდეგ, თითქოსდა რკინის ფარდა უკვე მოიშალა, მაგრამ რუსეთმა ბოლო დროს ისევ დაიწყო მიუღებელი ნაბიჯების გადადგმა და მას ჭკუა უნდა ვასწავლოთო; ერთ-ერთი სახე ამ ჭკუის სწავლების ის იყო, რომ სწორედ საქართველოს ხარჯზე დაენახვებინათ მსოფლიოსთვის რუსეთის რეაქციული ხასიათი.

# გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

## სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად



– აიღეთ 50 გრამი მჭლე ღორის ხორცი, 10 უნაბის ნაყოფი, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, შემდეგ მასში ჩაახალეთ ახალი ქათმის კვერცხი, ბულიონი ხარშეთ არანაკლებ ორი საათისა. ყველაფერი ეს გაყავით ორ თანაბარ ნაწილად და მიიღეთ სადილზე და ვახშმად.

❖ ❖ ❖

– აიღეთ 150-200 გრამი ნედლი არახისი კანთან ერთად, გაატარეთ ხორცსაკეპში, დანამეთ წყლით (რათა ადვილად დაილეჭოს), ნარევი დაყავით სამ ნაწილად და მიიღეთ დღეში სამჯერ ჭამის წინ.

❖ ❖ ❖

– აიღეთ 500 გრამი რუხი არარაფინირებული შაქარი, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე სქელი სიროფის მიღებამდე. შემდეგ დაუმატეთ 250 გრამი მოხალული ცხელი შირბახტის თესლი (მოსახალად გამოიყენეთ შავი ფერის თესლი) და 250 გრამი მოხალული დანაყული ნიგოზი. ყველაფერი ეს კარგად აურიეთ და კვლავ დადგით ცეცხლზე. აიღეთ მომინანქრებული ჭურჭელი ფართო ფსკერით, წაუსვით მცენარეული ზეთი და ჩაყარეთ მასში ცხელი ნარევი, როდესაც ნარევი ცოტა გაცივდება, იგი თანაბრად გაასწორეთ ჭურჭლის ფსკერზე ლავაშის სახით და დაჭერით დანით პატარა ნაჭრებად. ყოველდღე ჭამეთ 2-3 ნაჭერი.

❖ ❖ ❖

– შემოთავაზებული ვარჯიშები ააქტიურებს კაპილარული სისხლის მიმოქცევას, აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას მთელ სხეულში. ვარჯიშები კაპილარებისთვის თავისი ზემოქმედებით ჰგავს ძუნძულით სირბილს, მაგრამ გულსა და სახსრებზე დატვირთვის გარეშე, მაშასადამე, მათი შესრულება შეუძლიათ ყველაზე სუსტებს და მწოლიარე ავადმყოფებსაც კი.

დაწექით სწორ და მყარ ზედაპირზე, დაიდეთ თავქვეშ მაგარი მუთაქა. შემდეგ აწიეთ ორივე ხელი და ფეხი ზევით, ისე რომ ფეხის ტერფები იატაკის პარალელური იყოს და ასეთ მდგომარეობაში დაიწყეთ ორივე ფეხის და ორივე ხელის ვიბრირება (ქანაობა) ერთდროულად. ეს ვარჯიში უნდა შეასრულოთ 1-3 წუთის განმავლობაში (ან თვლაზე 120-360) დილით და საღამოს.

❖ ❖ ❖

– აიღეთ ნაძვის, ფიჭვის ან სოჭის ხუთი სუფრის კოვზი დაქუცმაცებული წიწვები (სასურველია აიღოთ ახალგაზრდა, მიმდინარე წლის წიწვები), 2-3 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ასკილის ნაყოფი და 2 სუფრის კოვზი ხახვის ნაფცქვენი, დაასხით 0,7 ლიტრი წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10 წუთი, გააჩერეთ მთელი ღამე თბილად შეფუთული, გაწურეთ და დალიეთ წყლის მაგიერ 0,5-დან 1,5 ლიტრამდე დღე-ღამეში. მკურნალობა გრძელდება ოთხი თვე.

❖ ❖ ❖

– 2 სუფრის კოვზ წყლის იელს დავასხათ 5 სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი, დავდგათ თავდახურულ ქურჭელში გაზზე ან ელექტროქურაზე, იშვიათად მოვურიოთ. ზეთი არ უნდა ადუღდეს. შემდეგ გავწუროთ, შევიზილოთ.

❖ ❖ ❖

– 10 სადილის კოვზი დაქუცმაცებული შავნაყოფიანი კონახური მოათავსეთ მომინანქრებულ ქურჭელში, დაასხით ერთი ლიტრი ცივი წყალი და ადუღეთ წყლის აბაზანაზე 20 წუთი, შემდეგ გაწურეთ. მიიღება გემრიელი მომჟავო სასმელი. დალიეთ იგი თითო ჭიქა დილით და საღამოს ერთი თვის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

– 4 სუფრის კოვზ (ძალიან სავსე) ორყურას ფხვნილს დაასხით 1 ლიტრი წყალი. ხარშეთ 15 წუთი. დაიდეთ სველი საფენები ფეხებზე ძილის წინ, ყოველდღე დაახლოებით 15 პროცედურაა საჭირო განკურნებისთვის.

❖ ❖ ❖

– კონახურის ნაყოფის 1 წილს დაასხით 10 წილი ადუღებული წყალი და 40 წუთი გააჩერეთ. სვით, როგორც ჩაი – ყოველგვარი განრიგისა და რაოდენობის შეზღუდვის გარეშე.

## სისხლის შეუდედებლობის მკურნალობა

– აიღეთ ღორის ერთი ფეხი, კარგად გარეცხეთ და გაასუფთავეთ, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით წყალი, დაუმატეთ 10 გრამი არაქისის ნაყოფი და უნაბის 10 ნაყოფი. ყველაფერი ეს ხარშეთ ნელ ცეცხლზე 2-3 საათი, შემდეგ ბულიონი გააციეთ. ამოიღეთ ღორის ფეხი, მოაცილეთ ძვლები, გაყავით იგი ორ თანაბარ ნაწილად და მიირთვით. დააყოლეთ ბულიონი საკვების მიღებისას სადილად და ვახშმად.

❖ ❖ ❖

– აიღეთ უნაბის ოთხი ნაყოფი, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით ერთი ჭიქა წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 15-20 წუთი, შემდეგ ამოიღეთ ნაყოფი, გააციეთ. მოაცილეთ კურკები.

– არაქისის 10 მარცვალი კანთან ერთად წვრილად დანაყეთ როდინში და შეურიეთ მოხარშულ ნაყოფს და კვლავ დანაყეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. დღეში ერთხელ შეჭამეთ ამ ნარევის ულუფა და დააყოლეთ თბილი ნახარში.

ყოველდღიურად დღეში არაუმცირეს სამჯერ მაინც შეჭამეთ 15-20 უნაბის ნაყოფი. მკურნალობის კურსი 1-2 კვირაა.

❖ ❖ ❖

– აიღეთ 500 გრამი ცხვრის წვივი (ხორცი ძვალთან ერთად), კარგად გარეცხეთ წყალში, გაჭერით სამ ნაწილად, დაასხით წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 1,5-2 საათი, შემდეგ მდუღარე ბულიონში დაუმატეთ 150 გრამი უნაბის ნაყოფი და კვლავ ხარშეთ 20-30 წუთი. ბულიონი გააციეთ. ყოველდღე, დღეში სამჯერ, ჭამის დროს შეჭამეთ ხორცის ნაჭერი, დააყოლეთ ბულიონი. მკურნალობის კურსი – 10 დღეა. მოცემული რეცეპტი გარდა იმისა, რომ სისხლის შეუდედებლობის სამკურნალოდ საუკეთესო საშუალებაა, აგრეთვე ხელს უწყობს ორგანიზმში სისხლის წარმოქმნის პროცესს.

❖ ❖ ❖

– მოწამვლის შედეგად განვითარებული სისხლის შეუდედებლობის დროს: – აიღეთ 50 გრამი კურდღლის ხორცი, გარეცხეთ წყალში, გაჭერით სამ ნაწილად. მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით წყალი, დაუმატეთ 100 გრამი ზიზიფუსის ნაყოფი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე ორი საათი. ხარშვის დასასრულს დაუმატეთ მცირე რაოდენობის რუხი შაქარი (1-2 კოვზი). ხორცი და ბულიონი გაყავით სამ თანაბარ ნაწილად. დღეში სამჯერ შეჭამეთ თითო ნაჭერი ხორცი და დააყოლეთ ბულიონი.

ახალი თაობა
ერთიანი ბიბლიოთეკა

## ვლადიმირ ზელენსკი ჯო ბაიდენს შეხვდა



ვაშინგტონში უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი თავის ამერიკელ კოლეგას ჯო ბაიდენს შეხვდა. ბაიდენმა მხარი დაუჭირა უკრაინისათვის 200 მილიონი დოლარის გამოყოფას.

– მე მოვუწოდებ ჩვენს კონგრესმენებს, არ დაბლოკონ უკრაინისათვის დახმარების გამოყოფა! ამით ისინი პუტინს საშობაო საჩუქარს უკეთებენ! – თქვა ბაიდენმა.

ზელენსკიმ თავის საპასუხო სიტყვაში ბაიდენს მადლობა გადაუხადა:

– უკრაინულმა არმიამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ რუსების დამარცხება ამერკელების დახმარების გარეშეც შეუძლია! – თქვა ზელენსკიმ. პრესკონფერენციაზე ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ-მ უკრაინას უკვე 200 მილიონი დოლარი გადასცა. აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ ეს საკმარისი არაა.

## დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში



რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.682; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 10.594; არტილერია – 8.076; თვითმმფრინავები – 324;

განადგურებულია 341.500 ოკუპანტი.

## ისრაელის არმია წინსვლას განაგრძობს



ისრაელის არმია ღაზას სექტორში წინსვლას განაგრძობს. კერძოდ, ისრაელმა დაიკავა ქალაქი ხან იუნუსის ცენტრალური რაიონი ღაზას სექტრში. ამას გარდა, ისრაელის არმია მიუახლოვდა ქალაქ რაფტას, ისრაელისა და ეგვიპტის საზღვარზე.

## უნგრეთში რეზონანსული კანონი მიიღეს



უნგრეთის პარლამენტმა პრემიერ ორბანის მეთაურობით უპრეცენდენტო კანონი მიიღო. მასში ნათქვამია, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს უნგრეთის შიდა საქმეებში არავითარ უცხო ჩარევას. შეიქმნება ე.წ. სუვერენიტეტის დაცვის სამმართველოები, რომლებიც უზრუველყოფენ ამ კანონის გატარებას. კანონის თანახმად, გათვალისწინებულია იმ პარტიათა მოქმედების შეჩერება, რომლებიც უცხოეთიდან იღებენ დაფინანსებას, ან კავშირი აქვთ უცხოურ პოლიტიკურ თუ ფინანსურ ორგანიზაციებთან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## სამყაროს დასასრულის გადატანის მსურველებისთვის მიწისქვეშა ქალაქი გაიხსნა



ამერიკულმა კომპანია Vivos-მა მოაწყო მიწისქვეშა ქალაქი, რომელსაც სამყაროს დასასრულის გადატანა შეუძლია.

უზარმაზარ თავშესაფარს 10 ათასი ადამიანის დატევა შეუძლია და ის სამხრეთ დაკოტას შტატის მთებში, ყოფილ სამხედრო ბაზაზე მდებარეობს. შედარებით მცირე ზომის თავშესაფარი უკვე გახსნილია ინდიანას შტატში, კიდევ ერთი კი გერმანიაში შენდება. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის დანტე ვიჩინოს თქმით, ერთი წლის განმავლობაში თავშესაფარში ადგილის დაჯავშნის მსურველთა რაოდენობამ ორი ათას პროცენტს გადააჭარბა, ხოლო გაყიდვებმა 300 პროცენტი შეადგინა. კომპანია ამტკიცებს, რომ თავშესაფარი გათვალისწინებულია ავტონომიურ მუშაობაზე, გარესამყაროსთან კავშირის მინიმუმ ერთი წლის გარეშე. ერთი ადგილი სამხრეთ დაკოტას თავშესაფარში კლიენტს 55 ათასი დოლარი დაუჯდება. ინდიანაში კი უფრო დაბალი ფასია 35 ათასი დოლარი. ამასთან დეფიციტური სპეციალობების მფლობელებისთვის ფასდაკლებაა გათვალისწინებული.

## ახალგაზრდა მამაკაცმა, მამისგან გამოსასყიდის მიღების მიზნით, საკუთარი გატაცება გაითამაშა

ინდოეთში 20 წლის მამაკაცმა აღიარა, რომ საკუთარი გატაცება, მამისგან გამოსასყიდის სახით 30 ათასი რუპიის მისაღებად, გაითამაშა.

მახარაშტრას შტატის პალგხარის ოლქის მკვიდრი ახალგაზრდა მამაკაცი მას შემდეგ დააკავეს, როდესაც პოლიციამ მისი ოჯახისგან მისი გატაცების თაობაზე განცხადება მიიღო. გაირკვა, რომ მამაკაცი 7 დეკემბერს გავიდა სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა. მისმა ოჯახმა მეორე დღეს მიმართა პოლიციას განცხადებით.

მალე კი ახალგაზრდამ მამას დაურეკა და უთხრა, რომ ის სამმა უცნობმა პირმა გაიტაცა. მისი თქმით, ისინი მას ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ და გამოსასყიდს მოითხოვდნენ. მან მშობლებს გამოუგზავნა საბანკო ბარათის კოდი, რომელზეც ფული უნდა გადარიცხულიყო.

სამართალდამცავებმა ტელეფონის ზარი გამოთვალეს, ოთხი ოპერატიული ჯგუფი შექმნეს და ძებნას შეუდგნენ. შაბათს, 9 დეკემბერს „გატაცებულის" პოვნა მოხერხდა. ის შტატის ერთ-ერთ რაიონში სრულიად უვნებელი იპოვეს. დაკითხვაზე მან მაშინვე აღიარა, რომ საკუთარი გატაცება იმისთვის გაითამაშა, რომ მამისგან 30 ათასი რუპია გამოეძალა.

ამ დროისთვის ახალგაზრდა მამაკაცი პატიმრობაში იმყოფება, ხოლო პოლიციის თანამშრომლები იმის დადგენას ცდილობენ, ვინმე სხვაც ხომ არ იყო გარეული ამ აფიორაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სასტუმროში დაკარგული ძვირფასი ბეჭედი მოულოდნელ ადგილას იპოვეს



საფრანგეთში პოლიციამ დაკარგულ ბრილიანტის ბეჭედს სრულიად მოულოდნელ ადგილას მიაგნო.

პარიზის ერთ-ერთი სასტუმროს ბინადარმა ქალაქიდან დაბრუნების შემდეგ თავის ნომერში ტუმბოზე დატოვებულ 750 ათას ევროდ ღირებულ საიუველირო სამკაულს ვეღარ მიაგნო. ამის შემდეგ მალაიზიელმა მეწარმემ დახმარებისთვის ადგილობრივ პოლიციას მიმართა.

– უსაფრთხოების სამსახურის გულმოდგინე მუშაობის წყალობით, პარასკევს დაკარგული ბეჭედი, მტვერსასრუტის მტვრის შემგროვებელ ტომარაში აღმოაჩინეს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში სასტუმროს წარმომადგენელმა.

## 11 წლის ბიჭმა უზარმაზარი ლოქო დაიჭირა და ევროპის რეკორდსმენი გახდა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ბიჭმა ესპანეთში მოგზაურობის დროს უზარმაზარი ლოქო დაიჭირა და ევროპის რეკორდი დაამყარა. ახალი მიღწევის მფლობელი დასავლეთ სასექსის საგრაფოს მკვიდრი 11 წლის ჯოშუა დევენპორტი გახდა. მან მდინარე ებროში 69-კილოგრამიანი ლოქოს დაჭერა მოახერხა. ეს შედეგი ევროპის რეკორდს წარმოადგენს ბიჭებს შორის მტკნარი წყლის ბინადარი თევზების ჭერაში.

ბიჭის დედის თქმით, მისი შვილი 25 წუთი ებრძოდა ანკესზე წამოგებულ ლოქოს, სანამ მის თავთხელში გამოყვანას შეძლებდა.

– ჯოშუამ ანკესს ხელი სტაცა და პირდაპირ ორთაბრძოლა გაუმართა დაჭერილ თევზს. ანკესი თითქმის ორად მოიღუნა და ნათელი იყო, რომ საქმე ძალიან დიდ თევზთან გვქონდა. როდესაც მან დაჭერილი ლოქო დაინახა, უბრალოდ, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, თუ რამდენად დიდი იყო მისი ნადავლი. მის ასაწევად ჯოშუას და კიდევ სამი მამაკაცის ძალისხმევა გახდა საჭირო, – განაცხადა რეკორდსმენის დედამ.

## ტარაკნების თავიდან მოსაშორებლად მამაკაცმა სახლში აფეთქება მოაწყო

იაპონიის ქალაქ კუმამოტოში მამაკაცმა, რომელიც ტარაკნების თავიდან მოშორებას ცდილობდა, შემთხვევით სახლში აფეთქება მოაწყო.



აღნიშნული ინციდენტი 10 დეკემბრის ღამეს მოხდა. როდესაც მამაკაცი სახლში ტარაკნების საწინააღმდეგო ხსნარს ასხურებდა, შემთხვევით ის კოტაცუსაც შეესხა (მაგიდას გამათბობელით). სწორედ ამის შედეგად მოხდა აფეთქება. შედეგად ჩაიმსხვრა მინები, ხოლო სახლის პატრონმა მცირე დაზიანებები მიიღო. მეხანძრეები ფიქრობენ, რომ აფეთქების მიზეზი სწორედ კოტაცუ გახდა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათობას არ წარმოადგენს იაპონიაში. მიზეზი კი ისაა, რომ სპრეების უმრავლესობა ადვილად აალებად ინგრედიენტებს შეიცავს, მათ შორის სპირტს, პროპანსა და ბუტანს.

## მამაკაცმა ლატარიის ბილეთები ერთსა და იმავე ადგილას იყიდა და ორჯერ მოხსნა ჯეკპოტი




აშშ-ში მამაკაცმა ორჯერ მოხსნა ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი და ორივე შემთხვევაში ერთი წლის ინტერვალით ერთსა და იმავე ადგილას შეიძინა ბილეთები.

ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონის მკვიდრმა უეინ მიურეიმ ლატარიის გათამაშებაში პირველად 2022 წლის აგვისტოში გაიმარჯვა. მან 30-დოლარიანი ბილეთი ავტოგასამართი სადგურის მაღაზიაში იყიდა და 10 მილიონი დოლარი მოიგო. ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ ამერიკელს ბედმა ისევ გაუღიმა. მან ამჯერადაც 30-დოლარიანი ლატარიის ბილეთი შეიძინა და ისევ იგივე თანხა მოიგო. მიურეიმ მოგებასთან დაკავშირებით საკუთარი ემოციები არ გამოხატა და არც გეგმები გაამხილა.

ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლის ჰასან ნაბილის თქმით, ლატარიის გამარჯვებული, ყოველთვის თავმდაბლობით და მეგობრულობით გამოირჩეოდა და საერთოდ არ შეცვლილა მას შემდეგ, როდესაც ორჯერ მოხსნა ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი.

– მას შეეძლო პირველი მოგების შემდეგ ამ რაიონიდან გადასულიყო, მაგრამ აქვე დარჩა. ფული ბევრ ადამიანს ცვლის, მაგრამ არა მას. ის საერთოდ არ შეცვლილა და ისეთივედ დარჩა, როგორიც იყო, – განაცხადა ნაბილმა.

## სანაგვეში გადაგდებული ქანდაკება აუქციონზე გაიყიდა



აშშ-ში აუქციონზე გაიყიდა ძველი ჩინური ქანდაკება, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ავტოფარეხში იყო მიტოვებული. ხელოვნების უიშვიათესი ნაწარმოები მინესოტის ქალაქ ჩიკაგოში გამართულ აუქციონზე 930 ათას დოლარად გაიყიდა. აუქციონის მომწყობის ჯოან დიუმუშელის თქმით, აღნიშნული ქანდაკების გაყიდვამ ბრინჯაოს ნაკეთობების წლის რეკორდი დაამყარა.

დაახლოებით 80 სანტიმეტრის სიმაღლის ქანდაკება, ბუდას რვა მოსწავლიდან ერთ-ერთის გამოსახულებას წარმოადგენს. ის სუნისა და იუანის იმპერიის სტილშია დამზადებული, რომელიც მე-13-14 საუკუნეებში იყო გავრცელებული.

სპეციალისტები მისი წარმომავლობის დადგენას შეეცადნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის, შესაძლოა, ჰონკონგის შანის მონასტრისთვის იყო დამზადებული. მეორე ქანდაკება, რომელიც, სავარაუდოდ, იმავე სერიიდანაა, ფილადელფიაში პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმში ინახება. ის აშშ-ში 1914 წელს ჩაიტანეს.

ბრინჯაოს ქანდაკება აუქციონზე აზიურმა არტგალერეამ შეიძინა, რომლის წარმომადგენლები აშშ-ში საგანგებოდ ამ ლოტისთვის ჩავიდნენ.

## გიენას მიერ ქალის დაგლეჯამ მასობრივი პროტესტი გამოიწვია



კენიაში გიენამ სამსახურში მიმავალი ქალი დაგლიჯა, რაც მასობრივი საპროტესტო გამოსვლების მიზეზად იქცა. აღნიშნული ტრაგიკული შემთხვევა ქვეყნის დედაქალაქ ნაირობის მახლობლად, დაახლოებით დილის ხუთ საათზე მოხდა. დაღუპული ქალი სამსახურში მიდიოდა, როდესაც მას მტაცებელი ცხოველი თავს დაესხა. შედეგად მან ძალიან მძიმე დაზიანებები მიიღო და საავადმყოფოში გადაყვანამდე დაიღუპა.

როგორც კი აღნიშნული შემთხვევის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, ადგილობრივებმა საპროტესტო გამოსვლები მოაწყვეს და გზა გადაკეტეს. მათი თქმით, ეს უკვე გიენას თავდასხმის მეორე შემთხვევაა ბოლო ერთი თვის განმავლობაში. იმ შემთხვევებზე აღარაა საუბარი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა.

ამის შემდეგ პოლიციამ გიენების განადგურების ბრძანება მიიღო, რათა საპროტესტო გამოსვლები აღარ გაგრძელებულიყო. თავის მხრივ, სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ ამ საქმით ბუნების დაცვის სამსახური უნდა იყოს დაკავებული.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გიენები სულ უფრო ხშირად ტოვებენ მათ ბუნებრივ საბინადრო ადგილებს და ქალაქების სიახლოვეს მკვიდრდებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი, პრაქტიკა 50-წლიანი. „იადიგარ დაუდი" იყო მეფეთ-მეფის შვილი, მეფე ექიმი, მეცნიერი, მკვლევარი დავით ბაგრატიონი (ნახეთ სოციალურ ქსელში), აღიარებდა 4 სახის მედიცინას. მე ავირჩიე ხალხური და მაგიური მედიცინა, წიგნი „იადიგარ დაუდი" და მასში მოყვანილი მაგიური მკურნალობა შემაყვარა დედამ, ალა მერებაშვილმა, მას კი თავისი მაგისგან დავით მერებაშვილისგან გადმოეცა, რომელიც XVIII საუკუნეში ძლიერ ექიმად ითვლებოდა თიანეთის რაიონში. რასაც გთავაზობთ, ეს მაგიური მედიცინაა, უწამლოდ. სიტყვა „მაგია" ნიშნავს სასწაულს, საოცრებას. ამ საოცრებას ვახდენ ფოტოსურათით: აგრესია, აკვიატება, დეპრესია, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება, ბავშვებში სასქესო ორგანოს ზრდის შეჩერება, მოზარდებში დაუმორჩილებლობა, დაუდგენელი დიაგნოზის დაავადებები, რაც გამოწვეულია შავი ძალებით (მაგ. სექსუალური დარღვევები, უშვილობა), მოძალადის დაწყნარება ან ჩამოცილება, ურთიერთობის პრობლემები და კიდევ ბევრი რამ. მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №57. მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, ოფისი 777. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება სატელეფონო საუბრის შემდეგ, ნებისმიერ დღეს.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან განმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი ლომი უელსში დანაკლისით ჩავიდა



შავი ლომი უელსში გაემგზავრა, სადაც ჩელენჯ თასის მეორე ტურში ადგილობრივ სქარლეთს ეთამაშება.

ინგლისურ გლოსტერთან გადატანილი მძიმე მატჩის შემდეგ ჩვენს გუნდში დანაკლისია. დაშავდნენ და მომავალ თამაშს ტოვებენ შუამარბი გიორგი კვესელაძე, მესამეხაზელი ილია სპანდერაშვილი და მეორეხაზელი მიხეილ ბაბუნაშვილი.

14 დეკემბერს გუნდს მსუბუქი ვარჯიში ექნება, სქარლეთსთან თამაშამდე 24 საათით ადრე კი, ის 23-კაციანი რაზმი დასახელდება, რომლებიც მოედანზე გავლენ.

დანაკლისი სერიოზულია. ასევე სერიოზულია მეტოქეც. მართალია, გლოსტერის მსგავსად დიდი ისტორია არ აქვს, მაგრამ ტიტულებს ფლობს.

1995 წელს რაგბის პროფესიულ რელსებზე გადასვლის შემდეგ, სამოყვარულო და ნახევრად სამოყვარულო კლუბები გაერთიანდნენ, შექმნეს პროფესიული ფრენჩაიზები და რეგიონული ნაკრებები.

2003 წელს უელსის უმაღლესი ლიგის 9 გუნდის ბაზაზე ხუთი რეგიონული ფრენჩაიზი (ამჟამად ოთხი დარჩა) შეიქმნა. გუნდი თავდაპირველად ჰლანეჰლი სქარლეთსად იწოდებოდა და დასავლეთ და ჩრდილოეთ უელსს წარმოადგენდა. 2008 წლიდან კი, გუნდს სახელში მხოლოდ სქარლეთი დარჩა.

გუნდი დაარსებისთანავე ჩაერთო „კელტების ლიგაში" და პირველსავე, 2003-04 წლების სეზონში გამარჯვებული გახდა, რომელშიც 5 უელსური, 4 ირლანდიური და 3 შოტლანდიური ფრენჩაიზი თამაშობდა. 2011 წლიდან ტურნირს პრო 12 ეწოდა და სქარლეთსი ჩემპიონი 2017 წელს გახდა, 2018-ში კი ფინალში დამარცხდა.

ცნობისათვის, პრო 12 2017 წელს პრო 14-ად გადაკეთდა, 2021 წლიდან კი რაგბის გაერთიანებულ ჩემპიონატად იწოდება. მასში ირლანდიური, უელსური, შოტლანდიური, სამხრეთ აფრიკული და იტალიური გუნდები თამაშობენ.

სქარლეთსი 2003 წლიდან ჩაერთო ჩემპიონთა და ჩელენჯ თასში, სადაც საუკეთესო შედეგი ნახევარფინალი ჰქონდა. 2007 და 2018 წლებში ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა, შარშან კი, ჩელენჯ თასის ნახევარფინალში გლაზგოსთან დამარცხდა.

სქარლეთსის მთავარი მწვრთნელი დუეინ პილია, კაპიტანი – ჯოშ მაკლეოდი, რომელსაც უელსის ნაკრებშიც უთამაშია. მთლიანობაში, შემადგენლობაში მრავლად არიან უელსის ნაკრების მოთამაშეები.

მიუხედავად ამისა, ზოგადად უელსური რაგბი და მათ შორის კლუბებიც, კრიზისს განიცდიან. ჩელენჯ თასის პირველ შეხვედრაში სქარლეთსი კასტრს ეწვია და 16:34 დამარცხდა. საკუთარ გუნდს ყველა ქულა მგეზავმა იოან ლოიდმა შესძინა.

რაგბის გაერთიანებული ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში სქარლეთსმა 7-იდან მხოლოდ 2 თამაში მოიგო, 11 ქულა აქვს და 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-13 ადგილზეა.

# კვარაცხელია და ხოჭოლავა ფლეი ოფში გავიდნენ



ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩები ოთხ ჯგუფში გაიმართა და ადგილებიც საბოლოოდ განაწილდა.

### ა ჯგუფი

მანჩესტერ იუნაიტედი შინ 0:1 დამარცხდა მიუნხენის ბაიერნთან და ფლეი ოფში ვერ გავიდა. მეტიც, ერიკ ტენ ჰაგის გუნდი ევროპა ლიგის.გარეშეც დარჩა.

მატჩის ბედი კინგლი კომანის გოლმა გადაწყვიტა.

სამაგიეროდ, ფლეი ოფშია დავით ხოჭოლავას კოპენჰაგენი, რომელმაც საკუთარ მოედანზე გალათასარაის 1:0 მოუგო და 8 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

დავით ხოჭოლავას ტრავმა აქვს და არ უთამაშია. იმედია, ჩვენებური ფლეი ოფის მატჩებამდე ფორმაში ჩადგება და მარტში უკვე საქართველოს ნაკრებსაც დაეხმარება.

გალათასარაი 5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა და ევროპა ლიგაზე გადაინაცვლა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 12-6 | 16 |
| 2.კოპენჰაგენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 3.გალათასარაი | 6 | 1 | 2 | 3 | 10-13 | 5 |
| 4.მანჩესტერი | 6 | 1 | 1 | 4 | 12-15 | 4 |

### ბ ჯგუფი

ამ ჯგუფში ფლეი ოფში გამსვლელთა ბედი ისედაც ცნობილი იყო – არსენალსა და პსჟ-ს ადგილები უკვე დაჯავშნილი ჰქონდათ. ეს გუნდები ერთმანეთს ნიდერლანდებში შეხვდნენ და ფრედ 1:1 ითამაშეს. არსენალმა ჯგუფი 13 ქულით დაასრულა, პსჟ-მ – 9 ქულით.

გადასაწყვეტი იყო, ვის დარჩებოდა ევროპა ლიგის საგზური. ერთმანეთს ლანსი და სევილია ეცილებოდნენ. ფრანგულმა კლუბმა 2:1 მოიგო და 8 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და სევილია ევროტურნირის გარეშე დატოვა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 6 | 4 | 1 | 1 | 16-4 | 13 |
| 2.პსჟ | 6 | 2 | 3 | 1 | 8-10 | 9 |
| 3.ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-11 | 8 |
| 4.სევილია | 6 | 0 | 2 | 4 | 7-12 | 2 |

### ც ჯგუფი

ნაპოლიმ შინ 2:0 მოუგო ბრაგას და ფლეი ოფში გადავიდა. ხვიჩა კვარაცხელიამ მატჩი სრულად ითამაშა, გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მეკარემ აჯობა.

გოლები პირველ ტაიმში გავიდა: ჯერ ბურთი საკუთარ კარში სერდან საატჩიმ ჩაჭრა, შემდეგ კი, ვიქტორ ოსიმენმა გაიტანა.

ბრაგამ ევროპის ლიგაზე გადაინაცვლა. არადა, იმის საშიშროებაც არსებობდა, რომ საერთოდ ევროტურნირის გარეშე დარჩენილიყო, მაგრამ უნიონმა, რომელსაც პორტუგალიელების გადასწრება შეეძლო, მაგრამ შინ უმოტივაციო რეალთან 2:3 წააგო და ჯგუფში ბოლოზე გავიდა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 6 | 0 | 0 | 16-7 | 18 |
| 2.ნაპოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 3.ბრაგა | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| 4.უნიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 6-10 | 2 |

### დ ჯგუფი

აქ პირველი და მესამე ადგილების ბედი წყდებოდა. ინტერს შინ სოსიედადთან მოგება სჭირდებოდა, მაგრამ უგოლო ფრეს დასჯერდა. ორივე გუნდმა 12-12 ქულა დააგროვა, პირველი ადგილი კი, ბურთების უკეთესი ბალანსით ესპანელებს დარჩათ.

ევროპა ლიგაზე ითამაშებს ბენფიკა, რომელსაც ზალცბურგთან სტუმრად ორი ბურთით გამარჯვება სჭირდებოდა. პორტუგალიელებმა მიზანს მიაღწიეს – 3:1 მოიგეს.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 6 | 3 | 3 | 0 | 7-2 | 12 |
| 2.ინტერი | 6 | 3 | 3 | 0 | 8-5 | 12 |
| 3.ბენფიკა | 6 | 1 | 1 | 4 | 7-11 | 4 |
| 4.ზალცბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-8 | 4 |

# თურქეთში მსაჯი სცემეს, ჩემპიონატი შეწყვეტილია

თურქული ფეხბურთის შეფებმა ქვეყნის ყველა რანგის ჩემპიონატი გაურკვეველი დროით შეაჩერეს. მიზეზი სუპერლიგის მატჩში მომხდარი ინციდენტია.

ანკარაგიუჯიუ-რიზეს (1:1) მატჩის 97-ე წუთზე, როდესაც სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს, მასპინძელი კლუბის პრეზიდენტი ფარუქ ქოჯა მოედანზე შევარდა და მსაჯ ჰალილ უმით მელერს ისეთი უთავაზა, კარგ მოკრივეს შეშურდებოდა.

თუმცა, ყველაფერი ასე არ დასრულებულა და წაქცეულ მელერს კიდევ რამდენიმე კაცმა დაარტყა. გაწევ-გამოწევაში ორივე გუნდის ფეხბურთელები და კლუბების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

მსაჯს მარცხენა თვალთან სისხლდენა ჰქონდა და ძვალი აქვს გაბზარული. დაზარალებული მელერი საავადმყოფოში წაიყვანეს. საავადმყოფოში წასაყვანი გახდა თავად ქოჯაც, მაგრამ, როგორც თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალი იერლიქაიამ თქვა, მკურნალობის შემდეგ დააკავებენ. მინისტრის ინფორმაციით, დაკავებულია ინციდენტში მონაწილე კიდევ რამდენიმე ადამიანი.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მეჰმეთ ბუიუკეკშიმ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ქვეყანაში ყველა ლიგის შეხვედრა გადაიდო და მომხდარი თურქული ფეხბურთის სირცხვილის დღეა.

მოგვიანებით, ორივე კლუბმა ბოდიშის შემცველი განცხადებები გაავრცელეს, მაგრამ თურქული ფეხბურთის ბოსებმა უკვე გამოაცხადეს, რომ ამ ანკარაგიუჯიუსა და მის ხელმძღვანელებს მკაცრი სასჯელი არ ასცდებათ.

ძალადობას გამოეხმაურა ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინოც. მან დაგმო არბიტრის ფიზიკური შეურაცხყოფა და მოუწოდა შესაბამის ორგანოებს, უზრუნველყონ და გააძლიერონ მატჩის ოფიციალურ პირთა დაცვა.

**ჯანი ინფანტინო:**

– ფეხბურთში ძალადობის ადგილი აბსოლუტურად არ არის, მოედანზე თუ მის მიღმა. რაც თურქეთის სუპერლიგის მატჩის შემდეგ მოხდა, სრულიად მიუღებელია და ჩვენს სპორტსა და საზოგადოებაში ამის ადგილი არ არის. მსაჯები, ფეხბურთელები, გულშემატკივრები და პერსონალი უნდა იყვნენ უსაფრთხოდ და დაცულები, რათა ისიამოვნონ თამაშით.

თავად მელერი ამბობს, რომ მსაჯობას თავს დაანებებს.

**ჰალილ უმით მელერი:**

– ფარუქ ქოჯამ თვალის ქვეშ მუშტი დამარტყა და მიწაზე დავეცი. ამის შემდეგ რამდენიმე ადამიანმა ფეხი სახესა და სხეულის სხვა ნაწილებში დამარტყა. ქოჯა მიყვიროდა და მეუბნებოდა, რომ მომკლავდა. კომპრომისზე არ წავალ და მოძალადის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შევიტან. ამასთან, მივიღე გადაწყვეტილება, რომ მსაჯის პროფესიას შევეშვები და სხვა საქმით დავკავდები. იმის შემდეგ, რაც მოხდა, ალარ შემიძლია, ვიყო ამ საქმეში, ველარ ვიმსაჯებ.

# შოთა არველაძემ ქარაგუმრუქში პირველი ვარჯიში ჩაატარა

შოთა არველაძე თურქეთის სუპერლიგის გუნდ ფატიჰ კარაგუმრუქის მთავარი მწვრთნელია. გუნდის, რომლის ერთ-ერთი აქციონერი არჩილ არველაძეა.

შოთა არველაძემ პირველი საწვრთნელი ვარჯიში უკვე ჩაატარა და ფეხბურთელებს საკუთარი გეგმა გააცნო.

**შოთა არველაძე:**

– მიხარია, რომ სამწვრთნელო საქმეს იმ გუნდში დავუბრუნდი, რომელიც ჩემთვის კარგად ნაცნობია და ვიცი, რის მიღწევაც სურს. მინდა მადლობა გადავუხადო ქარაგუმრუქის პრეზიდენტ სულეიმან ჰურმას ნდობისთვის და რთულ მომენტში ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის.

ამ კლუბმა უკანასკნელ 3-4 წელიწადში დიდი გზა გაიარა თურქეთის სუპერლიგამდე და დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალებით კიდევ უფრო წარმატებულს გავხდით. გუნდთან ერთად პირველი ვარჯიში უკვე ჩავატარე და ვემზადებით უახლოესი მატჩისთვის. ველოდები გულშემატკივართან შეხვედრას და იმედი მაქვს, მათ გახარებას მოვახერხებთ. 50 წლის შოთა არველაძემ მწვრთნელის კარიერა ნიდერლანდურ ალკმაარში (2008-10) დაიწყო, სადაც ლუი ვან გაალის ასისტენტი იყო. ამის შემდეგ კი დამოუკიდებლად ექვს გუნდში საქმიანობდა: თურქული ქაისერი (2010-12), ქასიმფაშა (2012-15) და ტრაბზონი (2015), ისრაელის თელ-ავივის მაკაბი (2016-17), უზბეკური ფახთაქორი (2017-20) და ინგლისური ჰალი (2022).

# რაგბი ევროპის ფინალს პარიზი უმასპინძლებს

2024 წელს რაგბი ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს, თებერვალში დაიწყება და 17 მარტს, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში დასრულდება. ინფორმაციას თავად რაგბი ევროპა ავრცელებს. ფინალის გარდა, პარიზშივე გაიმართება მატჩები მე-7, მე-5 და მე-3 ადგილებისთვის.

შეგახსენებთ, რომ ტურნირში, ფორმატის თანახმად, რვა ნაკრები ორ ჯგუფში არიან გადანაწილებულნი: ა ჯგუფში საქართველო, გერმანია, ნიდერლანდები და ესპანეთი მოხვდნენ, ხოლო ბ-ში – ბელგია, პოლონეთი, პორტუგალია და რუმინეთი.

ჯგუფების 1-2 ადგილოსნები ნახევარფინალში ჯვარედინი პრინციპით დაწყვილდებიან, გამარჯვებულები კი, ფინალში გავლენ. 3-4 ადგილოსნები მსგავსი პრინციპით იმ გუნდებს გამოავლენენ, რომლებიც მე-5 და მე-7 პოზიციებს გაითამაშებენ. საქართველოს ნაკრების კალენდარი ასეთია: 4 თებერვალს გერმანიას ვესტუმრებით, 10 თებერვალს ნიდერლანდებს დავუხვდებით, ხოლო 17 თებერვალს – ესპანეთს. ნახევარფინალები 2-3 მარტს გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ფუტსალის ნაკრები სეზონს ამთავრებს

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ელიტ რაუნდში ავთანდილ ასათიანის გუნდი 15 დეკემბერს, სომხეთის ნაკრებს სტუმრად ეთამაშება, ხოლო 20 დეკემბერს შინ პორტუგალიის ნაკრებს დაუხვდება.

ჩვენს გუნდს წინა ოთხ ტურში მოპოვებული 7 ქულა ჰქონდა, მაგრამ უეფამ ლეგიონერების გადაჭარბების გამო საქართველოს 4 ქულა დააკლო. შესაბამისად, ახლა ასათიანის გუნდი 3 ქულით მესამე ადგილზეა. არადა, მუნდიალზე მოხვედრის ჩინებული შანსი ჰქონდა.

საქართველოს ნაკრები ერევანში გაემგზავრა, სადაც ასათიანმა 15 ფეხბურთელი იახლა. ლეგიონერები ამჯერადაც არიან, მაგრამ მათი რაოდენობა შეთხელებულია.

**მეკარეები:** ზვიად კუპატაძე (გაზპრომ-იუგრა, რუსეთი), თორნიკე ბუკია (აქტობე, ყაზახეთი), ბექა ტყემალაძე (ნიუ ვიჟენ ჯორჯიანსი);

**წინა ხაზი:** შოთა თოფურია, ირაკლი თოდუა, რონინიო, ვახტანგ ჯვარაშვილი, ვახტანგ კეკელია (ყველა ნიუ ვიჟენ ჯორჯიანსი), გიორგი ლავთაძე (ტიუმენი, რუსეთი), გიორგი ჩიმაკაძე (თსუ), ჩიმბა (გაზპრომ-იუგრა, რუსეთი), ბრუნო გომესი (პალმა, ესპანეთი), ბექა ბექაური (კსუ), ბრუნო პეტრი (პიროსიჯენო, იტალია), არჩილ სებისკვერაძე (ვიტებსკი, ბელარუსი).

## შედეგები

**12 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი**

ალ იტიჰადი-ოკლენდი ... 3:0

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ლანსი-სევილია ... 2:1
პსჟ-არსენალი ... 1:1
ინტერი-სოსიედადი ... 0:0
მანჩესტერი-ბაიერნი ... 0:1
ნაპოლი-ბრაგა ... 2:0
ზალცბურგი-ბენფიკა ... 1:3
უნიონი-რეალი ... 2:3
კოპენჰაგენი-გალათასარაი ... 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლექბერნი-ბრისტოლი ... 2:1
როტერჰემი-ვესტ ბრომვიჩი ... 0:2
სტოკი-სუონსი ... 1:1
უოტფორდი-იფსვიჩი ... 1:2
ჰადერსფილდი-პრესტონი ... 1:3
სანდერლენდი-ლიდსი ... 1:0

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფრანგი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 2. რომან „დათა თუთაშხიას" პერსონაჟი; 3. პატარა სამხედრო ჰოსპიტალი; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 8. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ძვირფასი ქსოვილი; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 16. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. რაიონული ცენტრი იმერეთში; 19. აზრი, ჩანაფიქრი; 20. მარადმწვანე წიწვოვანი ხე.

**თარაზულად:** 5. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 9. ფულის ერთეული პანამაში; 10. სენეგალის დედაქალაქი; 11. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო; 13. ძველი ქართული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. საქმელი სოკო; 18. ლუკ ბესონის ფილმი; 21. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 22. ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მხიარული განწყობილება; 23. ხეობა კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰერმესი; 2. ფიჯი; 3. მერფი; 4. ახტალა; 6. ჟურფიქსი; 9. საცივი; 13. გაგნიძე; 14. თუშმალი; 15. ჯაკუზი; 17. ტვიში; 18. კლონი; 20. ხოტი.

**თარაზულად:** 1. ჰეფნერი; 5. ბუუჟი; 7. ბერმუხა; 8. მეჯლისი; 10. აზარი; 11. ფრეზა; 12. ხუცესი; 16. ჰუმუსი; 17. ტანკი; 19. გუჩი; 21. ბულიტი; 22. იშხანი; 23. დილერი; 24. შირაქი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თუტმოსი; 2. სიგალი; 3. მისისიპი; 4. გენეტიკა; 7. ქათინაური; 8. ესკულაპი; 12. ბადაგონი; 14. იმბეცილი; 16. ვანდომი; 17. შარბათი; 19. გემა; 20. გომი.

**თარაზულად:** 5. სუროგატი; 6. კვირინალე; 9. ჯორჯია; 10. ლაფსუსი; 11. ეკერი; 13. ბახში; 15. ამლახუ; 18. იანძი; 21. შინპოფერი; 22. ოოლოგია; 23. ბაგრატი.

ახალი თაობა
akhalitaoba.ge

14 დეკემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6745

ევრო — 2.8815

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3458

100 რუსული რუბლი — 2.9726

**ამინდის პროგნოზი 14 დეკემბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი მამარდაშვილის შეძენა იუვენტუსს სურს



ვალენსიას მეკარის, გიორგი მამარდაშვილის შეძენა იუვენტუსს სურს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურინელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 20 მილიონი გადაიხადონ, თუმცა, ვალენსია 30 მილიონს ითხოვს.

იუვენტუსის გარდა, ქართველი გოლკიპერის შეძენით რამდენიმე ინგლისური გუნდიც არის დაინტერესებული. მამარდაშვილს ვალენსიასთან კონტრაქტი 2027 წლამდე აქვს გაფორმებული.

## კარლო ანჩელოტი: „რეალი ყველა თამაშში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვის"



მადრიდის რეალმა სტუმრად უნიონ ბერლინი დაამარცხა და სამეფო გუნდმა ამრიგად ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგო, რის შემდეგაც ისინი, ბუნებრივია, პირველ ადგილზე გავიდნენ.

მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ მისი გუნდი ყველა შეხვედრაში მხოლოდ მოგებისთვის იბრძვის:

– მოედანზე მხოლოდ ერთი მიზანი გვაქვს, რომ თამაში მოვიგოთ. დღეს მეტოქემ წინააღმდეგობა გაგვიწია და შესაძლოა, ისინი ფრეს იმსახურებდნენ, მაგრამ იღბალიც ჩვენს მხარეს იყო.

## ჟოაო კანსელოს ბარსელონაში დარჩენა სურს




ბარსელონას პორტუგალიელ ფეხბურთელს ჟოაო კანსელოს გუნდში დარჩენა სურს. ამჟამად ის ბარსელონაში იჯარის წესით თამაშობს, ხოლო მასზე უფლებები კი მანჩესტერ სიტის ეკუთვნის. კანსელოს ბარსელონაში კარგი სტარტი გამოუვიდა და მან ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ის ბარსელონაში ბედნიერია და სურს, რომ ამ გუნდში კიდევ დიდხანს ითამაშოს. ბარსელონას მის ტრანსფერში 30 მილიონის გადახდა მოუწევს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ავენისის უნიკალური ეკლესია ვანდალების მსხვერპლია



დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე 1300 წლის უნიკალური ავენისის ეკლესია ვანდალების მსხვერპლია.

**ინფორმაცია და ფოტო ინტერნეტში დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:**

– ვაჩეიშვილის პერიოდში სააგენტოს პატრონაჟით „რესტავრირებული" ავენისის მე-8-9 საუკუნეების ეკლესია დუშეთის მუნიციპალიტეტში – 1300 წლის უნიკალური ძეგლი დათითხნეს ცემენტით და გააუბედურეს. იგივე პრეცედენტები მეორდებოდა ანთიძის დროსაც და ახლა წულუკიანის პერიოდშიც. ეს არაა რესტავრაცია, ხალხო, ესაა ვანდალიზმი და ეროვნული საუნჯის განადგურება! ცალკე პრობლემაა ის, რომ რესტავრირებული საეკლესიო კომპლექსი უპატრონოდაა და გატყიურდა.

## ხაშურის ბიბლიოთეკა ჩამოინგრა



ხაშურში ბიბლიოთეკა ჩამოინგრა და წიგნები ღია ცის ქვეშ ყრია.

**ინფორმაცია გიორგი ჩუბინიძემ გაავრცელა:**

– ბედისა და ამინდის ანაბარად ღია ცის ქვეშ მიტოვებული წიგნადი ფონდის ნაწილი. 13 მაისს ჩამოინგრა ეს ბიბლიოთეკა, ახლა დეკემბერია. 7 თვე გავიდა. გამოიცანით ეს სად ხდება და ვის მოვახსენოთ მადლობა?! ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

– 2017 წლის 28 სექტემბერს ისტორიკოსმა, ჟურნალისტმა, პოლიტოლოგმა, მოცურავემ, საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ჰენრი კუპრაშვილმა ხაშურის ბიბლიოთეკას 1.700 წიგნი გადასცა. მისი პირადი ბიბლიოთეკაც აქაა მოყოლილი. გაუგონარი რამაა, რაც აქ ხდება. ამაზე ხმის ამოღება ინტრიგნობა ჰგონიათ. სულ რომ არაფერი თქვა, ფაქტები მეტყველებენ ამაზე. აგერ, ბატონო, ვისაც არ სჯერა. თანამშრომლები, რომლებსაც 280 ლარი ძლივს აქვთ ხელფასი, ვერ ჩაიგდებენ თავს საფრთხეში, რომ ეს აკეთონ. წარმოუდგენელი უპასუხისმგებლობაა ადგილობრივი კულტურის სამსახურის მხრიდან. დიდი იმედი მაქვს, უფრო ზემდგომი ორგანოები დაინტერესდებიან, რა ხდება აქ, რატომაა ასეთი განუკითხაობა ადგილზე. ჩემ მიმართ უსამართლობის გარდა, ზოგადად, რა რეალობაცაა, იმაზე.

## ირინა გელაშვილი ეროვნულ კინოცენტრს კოპროდუქციის ჩაშლაში ადანაშაულებს

**რეჟისორი ირინა გელაშვილი საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს საფრანგეთთან კოპროდუქციის ჩაშლაში ადანაშაულებს:**

– ზოგადად ყველანაირ სიახლესა და ორგანიზაციების გადახალისებას მივესალმები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ პროცესში მინიმუმ დარგის პროფესიონალები არიან ჩართულები.

კინოცენტრში როდესაც დაიწყო რეორგანიზაცია, ხმამაღლა დავიწყეთ ყვირილი, კაკუნი და ხაური იმიტომ კი არა, რომ სიახლეები არ საჭიროებდა ამ ორგანოს, არამედ გავაპროტესტეთ ის, თუ ვინ აპირებდა ამ რეორგანიზაციის ჩატარებას, რა სპეციალობისა და კომპეტენციის ადამიანები. ახლა კი გული მწყდება, ვფიქრობ, რომ უფრო ხმამაღლა უნდა გვეყვირა!



ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც კინოცენტრისგან მოვითხოვე ყველაზე მარტივი დოკუმენტი. ცნობა, რომელშიც წერია, რომ ჩემი პროექტი, 2021 წელს დააფინანსა კინოცენტრმა. ეს ცნობა მჭირდებოდა საფრანგეთის ეროვნულ კინოცენტრში შესატანად, რომ გაფორმებულიყო კოპროდუქცია. არასრული დოკუმენტაციის წარდგენის გამო პროექტი მოხსნეს კონკურსიდან. არ ვიცი, მეტი ბოროტება რა შეიძლება გააკეთოს დღეს კინოცენტრმა, რომ ახალგაზრდა დებიუტანტ რეჟისორსა და პროდიუსერს ერთი ფურცელი ცნობა არ მისცეს. რისი იმედით უნდა ვიყოთ?

შეიძლება არაკომპეტენტური კადრების გამო არ შეუძლიათ მსგავსი სიმარტივის ცნობის მოცემა, მაგრამ მეილებზე პასუხის არგაცემა, მგონია, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ამისთვის სპეცსწავლება და უმაღლესი განათლება არაა საჭირო.

საქართველოს ეროვნული კინოცენტრი – სამწუხაროა, რომ ასე გვიდგახართ გვერდში! და აი, ეს არის ნათელი მაგალითი იმის, როდესაც ვამბობთ, რომ ქართული კინო საფრთხეშია!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## „ცეკვავენ ვარსკვლავები" ჯაზმინ ქარიზმა დატოვა



ტელეკომპანია „იმედის" ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები" იტალიელმა კონკურსანტმა ჯაზმინ ქარიზმა და მისმა მეწყვილემ ირაკლი ძამამიამ დატოვეს.

შოუში კინოტურის დასრულების შემდეგ გავარდნის კანდიდატებად ჯაზმინ ქარიზი და ირაკლი ძამამია და მარიამ ჩიტაძე და რატი გაჩეჩილაძე დასახელდნენ. ბოლო 1-წუთიანი ხმის მიცემით კი, მარიამი და რატი მომდევნო ტურში გადავიდნენ.

ჯაზმინ ქარიზი და ირაკლი ძამამია წინა ტურშიც გავარდნის კადიდატები იყვნენ, თუმცა, ხმის მიცემის დასრულებამდე, ექიმი არსენ გვენეტაძე შოუს საკუთარი სურვილით დაემშვიდობა და პროექტში ჯაზმინი და მისი მეწყვილე დატოვა.

„ცეკვავენ ვარსკვლავების" მომდევნო საკონკურსო ტური ქართული ცეკვების ტურია, სადაც კონკურსანტები „სუხიშვილებთან" ერთად ქართულ ცეკვებს შეასრულებენ.

## ნინი ბრეგვაძე ამერიკულ „ვოისს" გამოეთიშა



ქართველი მომღერალი ნინი ბრეგვაძე ამერიკულ „ვოისს" ნახევარფინალიდან გამოეთიშა. ნინი ფინალისტებს შორის ვერ მოხვდა, თუმცა, მისმა ბრწყინვალე შესრულებამ მწვრთნელებისა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნახევარფინალის დასრულების შემდეგ, ნინი გავარდნის კანდადატთა შორის აღმოჩნდა. 5-წუთიანი ხმის მიცემის განმავლობაში ქართველმა მომღერალმა საკმარისი ხმები ვერ დააგროვა და ამერიკულ „ვოისს" დაემშვიდობა.

## ნუკი კოშკელიშვილი კრიტიკოსებს: „დიახ, ვარ მახინჯი!"



**მოდელი ნუკი კოშკელიშვილი კრიტიკოსებს პასუხობს:**

– არ მჩვევია მსგავსი გამოხმაურებები, მაგრამ რადგან დედამ არ გასწავლათ, მე გასწავლით. ბევრმა თქვა, რომ ვარ ძალიან მახინჯი. როცა ადამიანი არის მახინჯი, ასე არ შეიძლება თქმა, უზრდელობაა.

დიახ, ვარ მახინჯი! მეტსაც გეტყვით, დიდი ცხვირი მაქვს, დაღრეცილი ტუჩი მაქვს, დაბადებიდან მაქვს კუნთის დისტროფია, მაქვს თხელი თმა, ტრ... მაქვს ძალიან დიდი, ქვევით ფეხებიც ცოტა მსუქანი, ძუძუებიც დაწეული, ვცხოვრობ ჩვეულებრივ არეულ ბინაში, ჩემმა შვილმა ლაპარაკი დაიწყო 4 წლის ასაკში, ალბათ, როგორც დედაც, არ ვარგივარ. სულ ცოტა ხნის წინ მუცელიც მომეშალა, ალბათ, არაფრად ვარგივარ. თუ უარყოფითი კომენტარების წერამ თქვენ ბედნიერება მოგცათ, ძალიან მიხარია. მიხარია, რომ გაბედნიერდით იმ ფაქტით, რომ მახინჯი ვარ. წარმატებას გისურვებთ. შევხედე ყველა უარყოფითი კომენტარის ავტორს და ნამდვილად ლამაზები იყავით ჩემს თვალში. ვინც ჩათვალა, რომ ცუდი და მახინჯი ვარ, დიდ წარმატებას გისურვებთ და ცოტა სიკეთესაც გისურვებთ, იმიტომ, რომ აშკარად გაკლიათ.

## ნინი წიკლაური ამერიკაში პირველ სოლო კონცერტს ატარებს



მომღერალმა ნინი წიკლაურმა, ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, ამერიკაში პირველი სოლო კონცერტის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო.

**ნინი კონცერტს 14 იანვარს გამართავს, თუმცა, მასზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია:**

– კონცერტამდე 1 თვით ადრე ბილეთები სრულად გაყიდულია. არცერთი ბილეთი აღარაა და უსაზღვრო მადლიერების გრძნობითა და, ამავდროულად, სიამაყით შევხვდებით 14 იანვარს.

## ბექა სიხარულიძის ფილმი საერთაშორისო კინოფესტივალებში მონაწილეობს



**მსახიობ ბექა სიხარულიძის ფილმი „სიცოცხლიდან სიცოცხლემდე" სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობს და წარმატებებსაც აღწევს:**

– მინდა გაგიზიაროთ, რომ ჩვენი ფილმი „სიცოცხლიდან სიცოცხლემდე" წარმატებით მონაწილეობს საერთაშორისო კინოფესტივალებზე და უკვე არა ერთი ჯილდო და ნომინაცია მოიპოვა.

ეს კონკრეტული ნომინაცია კი განსაკუთრებულია პირადად ჩემთვის, რადგანაც ჩემი პირველი ნომინაციაა, მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის!

მადლობა ჩვენს გადამღებ ჯგუფსა და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენი ფილმის შექმნასა და მის წარმატებაში!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 2. სოფლის ორლობე; 3. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 4. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური თურქეთში; 6. ბრტყელი ლოკოკინა; 9. მონასტერი ახალციხის რაიონში; 13. ქვის დიდი ლოდებით ნაგები აკლდამა; 14. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 15. შოტლანდიელი მათემატიკოსი, ლოგარითმების გამომგონებელი; 17. სხვადასხვა ნაკეთობების ზედაპირის გასაპრიალებლად გამოყენებული მსუბუქი, ფოროვანი მინერალი; 18. მინერალური წყალი სამეგრელოში; 20. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში.

**თარაზულად:** 1. წმინდად დაკეპილი ხორცის, თევზის ან სხვა პროდუქტებისგან მომზადებული საუზმეული; 5. წნული ქოხი სამეგრელოში; 7. ოპერა „დაისის" პერსონაჟი; 8. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 10. მომწამლავი ნივთიერება; 11. ფულის ერთეული ვიეტნამში; 12. სოფლის პოლიციელი ძველად; 16. კიევის მერი; 17. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 19. უძველესი სვანური დროშა; 21. სატუსაღო ძველ თბილისში; 22. ბავშვთა ქალაქი თბილისში; 23. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 24. აეროპორტი მილანში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*